140/2
1987

ISSN 0132 – 6007



# პიონერი

10
1987



ტყემ მოისხა ფოთოლი,
[illegible]
ბაღში ვარდი [illegible]
[illegible]

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ილია [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილია ჭავჭავაძე

გრიგოლ აბაშიძე,
მწერალი-აკადემიკოსი,
სოციალისტური
შრომის გმირი

ილია ჭავჭავაძე სამართლიანადაა აღიარებული ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე არ შემოზღუდულა მარტოოდენ მხატვრული ლიტერატურით, იგი იყო ფართო მასშტაბის საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი.

მისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა მამულის საკეთილდღეო რაიმე წამოწყება, რომლის ინიციატორი და უშუალო მონაწილე ის არ ყოფილიყო.

იგი, როგორც განმანათლებელი და სამშობლოს პროგრესისათვის დაუღალავად მზრუნველი, ერთნაირი ყურადღებით უძღოდა ყველა ეროვნულ საქმეს.

ილიას თაოსნობით დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნულ გამოფხიზლებაში; მან დიდი ამაგი დასდო ქართული თეატრის აღორძინებას. მანვე დააფუძნა იმ დროისათვის მოწინავე ჟურნალი და გაზეთი, რომელთა ფურცლებზეც იგი თითქმის ყველაფერზე წერდა — პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, მრეწველობასა და სახალხო მეურნეობაზე, სახალხო განათლებასა და პრესაზე, ისტორიასა და არქეოლოგიაზე, ენათმეცნიერებასა და ხალხურ შემოქმედებაზე და, ვინ მოსთვლის, კიდევ ყოველდღიური საჭიროების რამდენ მნიშვნელოვანსა და წვრილმანზე.

ილია ჭავჭავაძე იყო ბრწყინვალე პოლემისტიც, იგი არაერთხელ გამოსულა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების, მისი ენისა და კულტურის თავგამოდებულ დამცველად.

მას კარგად ესმოდა, რომ შვილს ისეთი ჩაგრული ქვეყნისა, როგორიც მაშინდელი საქართველო იყო, მწერლობის გარდა სხვაც ბევრი ეროვნული საქმე უნდა ეტვირთა და თავისი დიდი ნიჭი და ენერგია ზოგჯერ „შავ“ სამუშაოზეც უნდა დაეხარჯა.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
. . . . . . .
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული.

მიუხედავად საზოგადოებრივი საქმიანობით დატვირთულობისა, ილია ჭავჭავაძემ შესძლო ღრმა კვალი დაეჩნია მშობლიური ლიტერატურისათვის.

მის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ამშვენებს ისეთი შედევრები, როგორიცაა პოემები — „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, „ქართვლის დედა“ და „განდეგილი“, ქართული პროზის ისეთი მარგალიტები, როგორიცაა „გლახის ნაამბობი“ და „კაცია-ადამიანი?!“

„აჩრდილს“ ლაიტმოტივად გას-



ილია სეირნობისას



ილია და მისი მეუღლე ოლღა საგურამოში

[illegible] ... კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთ სანთელზე რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.

დევს იდეა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ბორკილაყრილი შრომისა.

შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას. —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზე ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

ილია ჭავჭავაძემ ამ პოემაში იქადაგა ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გარდუვალობა.

ბუნების დიდებული სურათების აღწერითა და ქართველი ხალხის ისტორიის გმირული ეპიზოდების წარმტაცად გადმოცემით იწინასწარმეტყველა სამშობლოს თავისუფლება, ეროვნული და სოციალური უთანასწორობის გაქრობის აუცილებლობა.

პოემა „კაკო ყაჩაღი“ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პირველი პოეტური ნაწარმოებია ქართულ მწერლობაში; პოემაში ბუნების აღწერისა და ბავშვობის სურათებს ოსტატურად ეხსოვება მძაფრი დინამიზმით აღსავსე მოთხრობა ადამიანის ღირსების დამამცირებელ სოციალურ უსამართლობაზე — ბატონყმობის სისასტიკეზე.

„კაცია-ადამიანი?!“ არის ულმობელი სატირა თავადაზნაურულ ყოფაზე, უმოქმედობით გადაგვარებული, სიცოცხლის მიზანს მოკლებული ადამიანების უაზრო ცხოვრებაზე.

ამ ნაწარმოებში კარგად გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი ნიჭის კიდევ ერთი თავისებურება — სატირისა და ჰუმორის ხელოვნების ფლობა.



ილიასა და აკაკის ძეგლი თბილისის 1-ლ საშუალო სკოლასთან.

შედარებით გვიან ილია ჭავჭავაძემ შექმნა კიდევ ორი შედევრი — „ოთარაანთ ქვრივი“ და „განდეგილი“.

„ოთარაანთ ქვრივში“ მწერალი კვლავ უბრუნდება წოდებათა ურთიერთობის პრობლემას. საქართველოს მომავალს იგი ხედავს წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენაში, ეროვნული ორგანიზმის გამთლიანებაში.

პოემა „განდეგილი“ განსაკუთრებული მოვლენაა მთელ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურაში.

ფილოსოფიური სიღრმითა და მხატვრული სრულყოფილებით ეს პოემა შეიძლება „კაცია-ადამიანთან“ ერთად ილია ჭავჭავაძის შემოქმედების გვირგვინად მივიჩნიოთ.

ილია ჭავჭავაძე პირველი კრიტიკოსი იყო ქართულ ლიტერატურაში. მისმა წერილმა კოზლოვის „შეშლილის“ ერისთავისეულ თარგმანზე მაშინდელი ჩვენი მოაზროვნე საზოგადოების ცხოვრებაში რევოლუციური როლი ითამაშა.

ამ წერილში ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ქართული ენის მდგომარეობაზე, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივაზე. ილიას ეს შეხედულებანი და მათი პრაქტიკული განხორციელება მისსავე შემოქმედებაში საფუძვლად დაედო ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას.

დიდი მწერალი უსაზღვროდ იყო შეყვარებული მშობლიურ ენაზე, სწამდა რა მშობლიური ენის ამოუწურავი შესაძლებლობანი, მთელი თავისი შემოქმედებით ზრუნავდა მის გამდიდრებასა და გამშვენიერებაზე, ხმალამოღებული ებრძოდა ყველას, ვინც მისი ღირსების შელახვას გაბედავდა სიტყვით ან საქმით.

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპისაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელმამასაც არ დავუთმობთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, — წერდა ილია ჭავჭავაძე თავის პირველ წერილში, რომელიც ახალ პრინციპებს აყალიბებდა თარგმნით ხელოვნებასა და ენასთან დამოკიდებულებაში.

„ენა არის არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი სული და გული!“ — ამ ილიასეულ ფორმულაში კლასიკურადაა გამოთქმული მწერლის აზრი ენის არსსა და დანიშნულებაზე.

ილიამ მეცნიერულად დაასაბუთა

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
10 ოქტომბერი 1987

ცოცხალი, ხალხის სალაპარაკო ენის დაახლოების აუცილებლობა სალიტერატურო ენასთან, თავის შემოქმედებით პრაქტიკაში უარყო არქაული, ხალხის სამეტყველო ენისათვის უკვე მკვდარი, ხმარებიდან გამოსული ნორმები და ლიტერატურაში ფართოდ გაუღო კარი ხალხურზე დაფუძნებულ ფრაზეოლოგიურ-ლექსიკურ ერთეულებს. მოთხოვნილების შესაბამისად მან თავადაც ბევრი ახალი სიტყვა შექმნა, რომლებიც სამუდამოდ დამკვიდრდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ილია ჭავჭავაძე, თვლიდა რა ენას ერის სულად და გულად, დიდ პატივს სცემდა სხვათა ენებსაც და, მათ შორის, რუსულ ენას.

ცარიზმის რუსიფიკატორებთან ბრძოლა მას სულაც არ უშლიდა ხელს, დაენახა და ჯეროვნად დაეფასებინა რუსული ენის სიკეთე და ჩვენი ახალგაზრდობისათვის ჩაეგონებინა მისი შესწავლის აუცილებლობა.

ილიას ღვაწლი სიცოცხლეშივე ღირსეულად დააფასა მისმა მშობელმა ხალხმა: ქართველ ერს ილიასა და აკაკის სახეში თვით სამშობლოს იდეა ჰქონდა ხორცშესხმულად წარმოდგენილი და მათ ყოველ სიტყვას წინასწარმეტყველის ქადაგებასავით გულში იბეჭდავდა.

ილიას სიყვარული გაღმერთებამდე ჰქონდა აყვანილი ქართველ ხალხს და სწორედ ამ დროს მოხდა გაუგონარი საზიზღრობა: მიგზავნილი ნაძირალას ტყვიით წიწამურში მოკლეს საქართველოს სულიერი წინამძღვარი.

ენით აუწერელი იყო ილიას სიკვდილით გამოწვეული გაოგნება.

ჩვენი დროის უდიდესმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ შესანიშნავად შეაფასა ილიას სიკვდილის მნიშვნელობა:

სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა.

სწავლა, ცოდნა, მეცნიერება — ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე.

წიწამურში რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი!

ილიასაგან განუყრელმა თანამებრძოლმა აკაკიმ გულმხურვალედ დაიტირა ერის ბურჯი და ქართველი ხალხის აღშფოთება და უსაზღვრო მწუხარება უკვდავი ლექსით გამოხატა:

ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას,
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა!
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?
. . . . . . . . .
ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!
ის ქართველად არა მჯერა,
ვინც გაბედა და ილიას
დაუმოკლა ბედისწერა!

ილიას დასაფლავებაზე აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა თავისი სიღრმითა და ემოციურობით მჭევრმეტყველური ხელოვნების ნამდვილი შედევრია: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და

რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.
მას დღეის ძუძუ ტკბილი შხამად შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვისაც დასზარებია!



თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ, ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!“

მეორე დიდმა პოეტმა, ილიას მაღმერთებელმა ვაჟა-ფშაველამ მთიდან მისცა ბანი ქართველი ხალხის ზარს:

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი,
მოგკალით ჩვენივე ხელით,
მოძმეთთვის ნაჭირმაგარი.

ილიას მოწამებრივმა სიკვდილმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის გამოფხიზლებასა და კონსოლიდაციაში, მან კიდევ უფრო ნათლად დაინახა თავისი წინამძღვრის გზის სისწორე და გაღებული მსხვერპლის სიდიადე.

ილია ჭავჭავაძემ თავის თანამებრძოლებთან — აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან ერთად შექმნა ახალი ეპოქა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, აღზარდა ის მაღალი ეროვნული შეგნება, რომელიც ახალი საქართველოს საფუძველთა საფუძვლად იქცა ჩვენს დროში.

დღეს, როცა ილიას იუბილეს ჩვენთან ერთად ზეიმობს მთელი დიდი საბჭოთა ქვეყანა, მადლიერ შთამომავლობას სიამაყით შეუძლია განაცხადოს, რომ ასრულებულია საქართველოს უკვდავი შვილის ნატვრა:

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინია,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან, აღასრულა მან თვისი ვალი.

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორნი საქართველოს დელეგაციიდან

თემურ
ცაგარელი
ფოტო ავტორისა

წელს ყირიმში, საერთაშორისო პიონერთა ბანაკ „არტეკში“ ჩვენი ქვეყნის პიონერია თავის IX საკავშირო ფორუმზე შეიკრიბა. ამ შეკრებაზე იყო საქართველოს დელეგაციაც. ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატები ზუგდიდში გამართულ პიონერთა რესპუბლიკურ შეკრებაზე შეირჩა. სამეგრელოს ამ კოხტა ქალაქში საქართველოს ყველა რაიონიდან ჩავიდნენ პიონერები. სხვებთან ერთად აქ იყვნენ სამტრედიის რაიონის წარგზავნილებიც. უნდა გენახათ სამტრედიელთა სიხარული, როცა მათი რაზმიდან (რაზმს „ოლიმპო“ ერქვა) ნაილი ციხესაშვილი და ქეთინო ახობაძე დაასახელეს და აირჩიეს კიდეც დელეგატებად. ყველაზე ადრე ნაილისა და ქეთინოს ეს სასიხარულო ამბავი მისმა თანარაზმელებმა მაია მიქაძემ, ირაკლი კაცაძემ და მაია ახობაძემ მიულოცეს.

გოგონები კი საუკეთესოთა შორის მართლაც რომ საუკეთესონი არიან! უწინარეს ყოვლისა, ისინი ბეჯითი სწავლითა და სამაგალითო ყოფაქცევით გამოირჩევიან. უყვართ შრომა, აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, კარგი სახელით სარგებლობენ კოლექტივში.



ქსოვა ნაილის ერთ-ერთი გატაცებაა

ნაილისა და მზიას ძალიან უყვართ ნაირფერი ყვავილები

ნაილი რესპუბლიკური შეკრებიდან ახალჩამოსულია და საამბოგიც ბევრი აქვს

ნაილი ციხესაშვილი სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის საბავშვო სახლის აღსაზრდელია. მისი რაზმეული ზოია რუხაძის სახელს ატარებს. ნაილი ამ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა.

ეწრის საბავშვო სახლის დირექტორი, პატივცემული კარლო გოთოშია მამობრივ მზრუნველობას არ აკლებს აღსაზრდელებს. გრძნობენ ამას ნორჩებიც და, რომ იტყვიან, სულ თვალებში შესციცინებენ. „ჩვენი ნაილი, — თქვა პატივცემულმა კარლომ, — ჩვენი სიამაყეა. ჰყავს ერთი ძმა და ექვსი და, ყველასათვის საყვარელია, ბევრჯერ გვასახელა, წარჩინებულად სწავლობს, კარგი





ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმარჯვე ოსტატია, მის მიერ დამზადებული ელექტროჭალი ზუგდიდში საგამოფენო დარბაზის ექსპონატია".

ნაილის ძალიან უყვარს ხელსაქმეც. ყაისნაღი და საქსოვი ჩხირები მის პატარა თითებში სწრაფად, ოსტატურად მოძრაობენ. ყელსაბურავი, ქუდები, წინდები, — რომელი ერთი ვთქვათ, — გამოცდილ ოსტატსაც კი შეშურდება გოგონას ნახელავი.

ეწრის საბავშვო სახლს აქვს საკუთარი ბაღ-ბოსტანი, რომელშიც თვითონ აღსაზრდელები ფუსფუსებენ, მოჰყავთ პამიდორი, კიტრი, მწვანილი, უვლიან ხეხილს, ბარავენ, თესენ, თოხნიან, მარგლავენ. ნაილი აქაც აქტიურია. მას განსაკუთრებულად ბუნების მშვენების, ყვავილების მოვლა-პატრონობა იზიდავს.

საბავშვო სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის წევრი ნაილიცაა, ხშირად მართავს კონცერტებს მეცხოველეობის ფერმაში, კოლმეურნეობაში, რაიონის გარეთაც. ნაილის ძალიან მოსწონს პატრიოტული სიმღერა „ფარი და მახვილი".

პატარა ქისტი გოგონას სანუკვარი ოცნებაა გახდეს პედაგოგი, რათა მისი საყვარელი მასწავლებლის, კარლო გოთოშიას მსგავსად, ისიც ემსახურებოდეს მომავალი თაობის აღზრდის საპატიო საქმეს.

წელან გითხარით, ნაილი ციხესაშვილთან ერთად არტეკში ქეთევან ახობაძეც გაემგზავრა-მეთქი. ქეთევანი სამტრედიის მე-6 საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლეა, შრომისმოყვარე, გულისხმიერი ამხანაგი, პიონერული რაზმეულის საბჭოს აქტიური წევრი. რომ იტყვიან, ყველა სიკეთით შემკულიაო, — სწორედ ის არის.

სამტრედიის რაიონში სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან ძირითადად მესაქონლეობასა და მებაღეობა-მებოსტნეობას მისდევენ. განვითარებულია მეჩაიეობა. სასკოლო არდადეგების პერიოდში რაიონში ტარდება შრომითი სემესტრი. ამ სემესტრის აქტიური მონაწილეა მე-6 საშუალო სკოლა, რომლის შრომით ბრიგადაში ირიცხება ქეთევან ახობაძეც.

მეექვსეკლასელებმა თავიანთი შრომითი სემესტრი დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობაში ჩაატარეს. ქეთევანი სხვებთან ერთად ჩაის კრეფდა. მის ანგარიშზე ყოველ-



პიონერთა IX საკავშირო შეკრების დელეგატი ქეთევან ახობაძე

დღიურად ხუთი-შვიდი კილოგრამი „მწვანე ოქრო" ბარდებოდა სახელმწიფოს. აქტიურად მონაწილეობდა ჭირნახულის დაბინავებაშიც — ჯერ კომბოსტოს აღებაში, მერე — ხახვის ამოძირკვაში, მერე — სიმინდის ტეხვაში, მერე... მერე ყველაფერში, სადაც კი საჭირო გახდებოდა შრომისმოყვარე გოგო-ბიჭების გამრჯე ხელები. სხვებთან ერთად ყველგან მუხლჩაუხრელად შრომობდა. შრომითი სემესტრის მონაწილეთა მიერ გამომუშავებული თანხით სკოლის ეზოში მოსწავლეთათვის პატარა სასადილო აშენდა. ამ საქმეში კი ქეთევანის მოკრძალებული წვლილიცაა.

რაიონში ხშირად ეწყობა სასკოლო ბაზრობა, სადაც იყიდება რაიონის პიონერ-მოსწავლეთა ნახელავი — ნაქსოვი თუ შეკერილი, ნახატი თუ ნაძერწი, ხისგან გამოთლილი საოჯახო ნივთები და სხვა მრავალი ნაოსტატევი. ქეთევანი ამ ბაზრობის ხშირი მონაწილეა. ბოლო ბაზრობაზე ხელმარჯვე ოსტატის მოქსოვილი ყელსაბურავები, წინდები და სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის შეკერილი კოპწია კაბები ისე დაიტაცეს, ერთიც არ დარჩენილა. და, რაც მთავარია, პიონერ-მოსწავლეთა ნავაჭრი თანხა მთლიანად გადაირიცხა ჩერნობილის ფონდში.

სამტრედიის კომკავშირის რაიკომში ნატო ადეიშვილმა სიყვარულით გაიხსენა მისი ყოფილი პიონერი ქეთევან ახობაძე. „ქეთევანი, — თქვა მან, — უსაზღვროდ შეყვარებულია პოეზიაზე. მისი სათაყვანო პოეტები პუშკინი და ლერმონტოვი, გალაკტიონი, მირზა გელოვანი და ლადო ასათიანი არიან. ამ პოეტების ბევრი ქმნილება მან ზეპირად იცის". ბოლოს ღიმილით დასძინა: — ასე მგონია, ჩუმ-ჩუმად თვითონაც წერს ლექსებსო...

სასკოლო არდადეგების პერიოდში მეექვსეკლასელებმა ხუთი გრამი აბრეშუმის მური გამოკვებეს და მიღებული აბრეშუმის პარკი კოლმეურნეობას ჩააბარეს. ქეთევანი აქაც აქტიური იყო. თავაწეულ ჭიებს რომ დაინახავდა, — არიქა, შიათო! — და მაშინვე თუთის ფოთლებს მიაყრიდა...

პიონერთა სრულიად საკავშირო IX შეკრებაზე საქართველოდან ყირიმში 46 დელეგატი გაემგზავრა. მათ შორის იყვნენ ქეთევან ახობაძე და ნაილი ციხესაშვილი.

ხუტა ბერულავა

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

# უბილეთო მგზავრი

1986 წელს გამოიცა ჩემი წიგნი „ბიჭი, რომელსაც ჩიტის გული ჰქონდა“. მომავალი წლისათვის ვამზადებ ნაწარმოების შევსებულ გამოცემას.

ამჯერად ჟურნალ „პიონერის“ მკითხველებს ვთავაზობ ერთ-ერთ ახალ მოთხრობას ამ წიგნიდან.

ხუტა ბერულავა



ანაზდეულად მოვარდნილი წვიმა ასევე მოულოდნელად შეწყდა და ჩემს წინ ვეებერთელა ცისარტყელა გადაირკალა. შოშიის ბარტყივით პირდაღებული შევყურებდი ბუნების ამ საოცრებას და იმ წუთებში არც კი მახსოვდა, სოხუმიდან მატარებლის გამოჩენას რომ ველოდებოდი.

რამდენჯერ მინახავს მშობლიური ცის ეს შვიდფერადი ქამარი და მუდამ ასე მეგონა, თითქოს პირველად ვხედავდი...

ისღა მწყინდა, რომ ზოგიერთ მგზავრს არც კი მიუქცევია მისთვის ყურადღება. მწყინდა და მიკვირდა: როგორ ვერ გრძნობდნენ ისინი ამგვარ სილამაზეს? ლამის ვიყვირე ყველა მათგანის გასაგონად:

— თქვე დალოცვილებო, რამ დაგაბრმავათ, რამ დაგიკარგათ მშვენიერების გრძნობა, ცალი თვალით მაინც გაიხედეთ ამ ცისარტყელასკენ!

მატარებელი გალის სადგურზე ჩამოდგა და მეც მცირე ყოყმანის შემდეგ საერთო ვაგონში აღმოვჩნდი. ამდენ ხალხში ჩემსავით უბილეთო და ჯიბეგაფხეკილი კიდევ იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს ქვეყანა არ დაიქცეოდა, თუკი უახლოეს სადგურზე სხვებთან ერთად მეც ჩამაბრძანებდნენ...

ვაგონში ვიწროობა იყო, ადგილი მაინც გამოინახა. ზეზე დგომა მერჩია, ჩემო გოგა, მაგრამ კეთილი ხალხის ნებას დავყევი.

სარკმელთან ნაწნავიანი ქალიშვილები ისხდნენ — აფხაზურად ჟღურტულებდნენ, თუმცა ზოგჯერ მეგრულსაც გამოურევდნენ ხოლმე. მათი საუბრიდან გავარკვიე: სამივე საექიმოზე გამოცდების ჩასაბარებლად მიემგზავრებოდა თბილისში.

„ნუ ღელავთ, ქალიშვილებო. ახდება თქვენი ოცნება“! — მე ვინ მეკითხებოდა, მაგრამ გულში მაინც ვაიმედებდი მათ და ჩემთვის მეღიმებოდა.

ოდნავ თმაშეთეთრებული ქალი, ვისაც ბებიობა ჯერხნობით არც ეკუთვნოდა თითქოს, პირდაპირ სულში იძვრენდა ხუთიოდე წლის ქერათმიან გოგონას.

მგზავრები საყვარლად იღიმებოდნენ, როცა ბებიასა და შვილიშვილს უსმენდნენ:

— ნია, ნიაკო, ახლა ეს მითხარი, გიყვარვარ?

— აბა, არ მიყვარხარ, ბებია?

— ბაბუაც ხომ გიყვარს, სიცოცხლევ?

— აბა, არ მეყვარება ჩემი კარგი ბაბუ?

— ხომ ისევ გვეწვევი აჩიგვარაში?

— აბა, არ ჩამოვალ, ბებია?

— მდინარე ქვიშონა გახსოვს, ნიაკო?

— აბა, არ მეხსომება, ბებია? რა დამავიწყებს?

გულარხეინად ვუგდებდი ყურს ჯერ აფხაზ გოგონებს, შემდეგ კი ახალგაზრდა ბებიას და მის შვილიშვილს.

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩემი გულარხეინობა. როცა რკინიგზელის ფორმაში ჩაცმულმა ადამიანებმა ახლომახლო ჩაიშლიგინეს, შევკრთი და გული მომეწურა: ვინ იცის, რამდენი ნაცნობი გამოჩნდება ვაგონში, მათ დასანახად რომ ჩამატარონ, ხომ სამუდამოდ მომეჭრა თავი!

დამნაშავესავით ჩაგატარებენ და მერე ამტკიცე, ბილეთის ფული არ გამაჩნია, თორემ სხვა მხრივ ანგელოზივით ბიჭი ვარო... ვინ დაგიჯერებს?

ვაგონში ტანმაღალი ჭაბუკი შემოვიდა. ხელში უზარმაზარი ჩემოდანი ეჭირა, გალიფე ეცვა და სომბრეროს მსგავსი ქუდი ეხურა. დიდრონ, შავ თვალებს ხარივით აბრიალებდა. შეზარხოშებული ჩანდა.

ვიღაცას მივამგვანე, თითქოს სადღაც მენახა, მაგრამ ვერ გავიხსენე.

— საერთაშორისო ვაგონია? — იკითხა გოროზად და ხმაზე ჯონსონ ვიცანი, ჩემი უკუღმართი მეზობელი. შემომხედა და სახეზე ნაძალადევი ღიმილი გადაეკრა.

— ვახუშტის გაუმარჯოს! საიდან სადაო, ხუჭუჭთმიანო! — მომაძახა.

თავი კი დავუქნიე, ოღონდ კრინტი არ დამიძრავს. ის მაინც არ მომეშვა.

— მე ეს საერთაშორისო ვაგონი მეგონა... საითკენ არის?.. ამ ჯოჯოხეთში თბილისამდე რა გაგაჩერებს...

არაფერი მითქვამს. თითქოს არც გამეგონოს მისი სიტყვები.

— რამ დაგამუნჯა, ვახუშტი? თუ ძმა ხარ, მომიკიდე ხელი ამ ჩემოდანს და გადავიდეთ საერთაშორისო

ვაგონში... აგერ ორი ბილეთი... ერთი მშვენიერი ასული უნდა წამომყოლოდა თბილისში, შუაგზიდან კი გამექცა. აქაოდა, სანდო ვინმე არ ბრძანდებიო, უზრდელი და ტუტუცი ყოფილხარო. ნუ იტყვი, რაც მან მაკადრა...

— მერედა, რატომ? — უნებლიეთ შევეკითხე.

— ცოტა არ იყოს, ნაადრევად მოვინდომე დაუკრეფავში გადასვლა და იმიტომ. ჯანდაბამდის გზა ჰქონია იმ სოფლელ გომბიოს. აგერ ბილეთები და გადავიდეთ იმ ვაგონში, სადაც ამდენი ყაყანი არ ისმის... ამ საერთოში რა გინდა... მათხოვრების მეტი ვინ დადის, ბიჭო, საერთო ვაგონით?

დიახ, ასე მიპასუხა, ოღონდ ბოლო სიტყვებზე ხმას ოდნავ დაუწია.

ო, როგორ მსურდა, ჯონდოიასათვის გამომერთმია ის ბილეთები და ნაკუწ-ნაკუწად მექცია! მერე ეს ნაკუწები პირისახეზე შემეყარა ამ გაზულუქებული ჭაბუკისთვის.

— რაო, როგორი ხალხი დადის ამ ვაგონითაო? — იკითხა უცებ მისებრ მოწიფულმა ჭაბუკმა, თავისთვის რომ იჯდა და გაზეთს კითხულობდა. მან გაზეთს ხელი გაუშვა და ჯონდოიას პირდაპირ დადგა:



— აბა მიიხედ-მოიხედე, სად ხედავ აქ მათხოვრებს?

ვაგონი გაჭედილი იყო ახალგაზრდებით, სანდომიანი ქალებით, დარბაისელი ბერიკაცებით.

ჯონდოიას ელდა ეცა, არ ეგონა, მის ნათქვამს სხვაც გაიგონებდა. გაღიმებაც კი სცადა, მაგრამ განრისხებული მგზავრის თვალებს რომ წააწყდა, შეკრთა.

— აჰა, ესეც შენ ერთ-ერთი მათხოვრისაგან! — მშვიდად უთხრა ახალგაზრდა მგზავრმა და მუშტი მარჯვედ გაუქანა. ჯონდო ვაგონის კარს მიასკდა, ცხვირიდან სისხლმა ითქრიალა.

პატარა ნიაკოს ბებიამ ცხვირსახოცი გაუწოდა დაზარალებულს და უთხრა:

— სისხლი მოიწმინდე, შვილო, და ხმა არ ამოიღო! მადლობა უნდა მოახსენო, ასე იოლად რომ გადარჩი...

უცნობმა ბოდიში მოუხადა მგზავრებს და ისევ გაზეთს მიუბრუნდა.

ნირწამხდარი, თავჩაქინდრული ჯონდო კი იჯდა თავის ჩემოდანზე და ისე იყო დაბნეული, სხვა ვაგონში გადასვლას არც ფიქრობდა.

მას უკვე აღარავინ უყურებდა. რატომღაც ხალხის ყურადღებამ ჩემკენ გადმოინაცვლა. ოციოდე წყვილი ცნობისმოყვარე თვალი მომჩერებოდა, რამაც სიმშვიდე დამიკარგა. იქნებ არც ეცალათ ჩემთვის, იქნებ მეჩვენებოდა. მაინც აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, ვაითუ კარები გაიღოს და ის შემოვიდეს, ვინც ბილეთებს ამოწმებს-მეთქი.

ამასობაში მატარებელი სათანჯოს პატარა ბაქანზე გაჩერდა. თავი ისე დავიჭირე, თითქოს ზუგდიდში კი არა, სოფელ სათანჯოში მივემგზავრებოდი. მშვიდად ჩავედი ბაქანზე და უკვე დაძრულ მატარებელს ჰაეროვანი კოცნა დავადევნე.

ღმერთო ჩემო, რა ბედნიერად ვიგრძენი თავი, რა თავისუფლად ამოვისუნთქე! მზად ვიყავი, თბილისამდე მევლო ფეხით, ოღონდ არავის დავეტუქსე, ოღონდ არავის ეთქვა, ეს რა უპატრონო ვინმე ყოფილაო.

ბევრი ვიარე თუ ცოტა, სოფელ ჭუბურხინჯში გადავედი. მერე რომ არ მკითხო, წინასწარ გეტყვი: ჭუ-



ბურხინჯი წაბლის ხიდსა ნიშნავს კოლხურად.

იმ სოფლიდან მდინარე ენგურამდე სულმოუთქმელად ჩავირბინე.

მივიჩქაროდი და გულში დავცინოდი ცხვირმონგრეულ ჯონდოიას...

მაინც რამ ათქმევინა, მათხოვრებიო... ოდესღაც ჩვენ რომ გვიბრიყვებდა, ის არ ეყოფოდა?

— მათხოვარი თვითონ გამხდარხარ, ჯონდოია, უქნარა და სხვისი ხელის შემყურე. შესახედავად კოპწია ჭაბუკი კი ხარ, მაგრამ ფუფუნება გონიერ კაცსაც უბნევს გზაკვალს. არ გიხნავს, არ გითესია, ბარი შენ არ გჭერია და თოხი, შუშა არ დაგიხეჩავს და ჭიდან წყალი არ ამოგიღია, ჩხუბი და დავიდარაბა, კი, ბატონო, გიყვარდა, მაგრამ ასე როდემდის იცხოვრებ, — ვეკამათებოდი გულში მეზობლის ვაჟს.

სახელი მაინც გამეგო იმ ჭაბუკის, ვინც ასე გაულამაზა პირისახე თავაღებულ ჯონდოს. მადლობა მაინც მეთქვა...

ფიქრში არც ის გალეული ქალიშვილი დამვიწყებია, ვინაც დაწუნებულ სასიძოს ხელში შეატოვა სიმწრით ნაშოვნი საერთაშორისო ვაგონის ბილეთი და პირში ჩალაგამოვლებული გამოუშვა.

ნეტავ დამანახა ის ქალიშვილი!

ლამაზია? უთუოდ ლამაზი იქნება.

გონიერია? გონიერი რომ არ ყოფილიყო, როგორ გამოიცნობდა ამ ურცხვსა და ცრუპენტელას, ვისაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა — ქალამნად.

ნეტავ თუ გამოადგება იმ ნებიერას დღევანდელი გაკვეთილი? ვინ იცის! კარგი კი იქნებოდა, გამოსწორებოდა, ჭკუაში ჩავარდნილიყო და ხელი აეღო უაზრო დარდიმანდობაზე.

მეტი არაა შენი მტერი!

მივდიოდი და მიხაროდა, რომ ვერავინ შემეკითხებოდა:

— ყმაწვილო, გვიჩვენე შენი ბილეთი!

...როცა ზუგდიდში შევედი, უკვე შეღამებული იყო, არც დაღლილობას ვგრძნობდი, არც ის ამბავი მახსოვდა, რაც გზაზე შემემთხვა. თვალწინ კვლავ მიწიდან ცამდე გადაჭიმული ცისარტყელა მედგა.

# შემოდგომა

**ევგენი ბართაია**

**ქარი ნელ-ნელა-ნელა**
**აჭრიალებს ბეღლის კარებს,**
**სურნელი და სიტკბო მოაქვთ**
**შემოდგომის მზეს და ქარებს.**

**ვინ თქვა:**
**— სოფლად ვინღა დარჩა,**
**რომ სოფელი დაიცალა?!**
**სულში სიმხნე გვემატება,**
**გულში — სითბო,**
**მუხლში — ძალა.**

**წითლად, ყვითლად რომ ღვივიან**
**და იცვლიან მზეში ფერებს,**
**ყველა ხილი მწიფს, ყვითლდება —**
**დრო დაუდგათ წიფობელებს.**



**დრო არ იცდის — გვიხმობს ყანა,**
**მეც მეგობრებს შევყრი ხვალვე.**
**ყველა ერთად გავალთ მინდვრად**
**და მოსავალს დავახვავებთ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილიას სადიდებლად...

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ყრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი —
ვით კლდის ნაპრალზე არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე ამ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა“.

1948 წელს ქართველმა მთამსვლელებმა დაამტკიცეს, რომ ჭინამდვილე იყო ეს ლეგენდა, რომლითაც ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ იწყება.

აი როგორ მოხდა ეს:

მყინვარწვერის კალთაზე, 3700 მეტრის სიმაღლეზე, მდებარეობს ყაზბეგის მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც მთელი წლის მანძილზე ამინდის მდგომარეობას გადმოსცემს საქართველოს ჰიდრომეტეოსამმართველოს. ამ სადგურს მწვერვალზე ასვლის წინ ღამის სათევად მთამსვლელებიც იყენებენ.

1948 წლის ახალწლის დღეები იყო. მოზამთრეები მეტეოსადგურის წინ იდგნენ და ჭოგრიტით კლდეებში ჯიხვებს ზვერავდნენ. უცბად ერთ-ერთმა მათგანმა ფრიალო კლდეზე შეამჩნია გამოქვაბული, კარით და ჩამოკიდული ჯაჭვით. ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელ საქართველოს. ნუთუ ეს არის „განდეგილში“ აღწერილი გამოქვაბული, რომლის შესახებაც მკვლევართა შორის სხვადასხვა აზრი არსებობდა?!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შედგა ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოჩენილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ალექსანდრა ჯაფარიძე. იმ დროს ალექსანდრა გახლდათ ალპურ კლუბთან არსებული სპელეოლოგიური კომისიის წევრი და დიდი გამოცდილება ჰქონდა ბუნებრივი თუ ხელოვნური გამოქვაბულების კვლევაში.

ყაზბეგის მეტეოსადგურიდან გზა გამოქვაბულისაკენ ჯერ აღმა, ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა გერგეტის მყინვარის დათოვლილ მორენებზე, შემდეგ კი აღმოსავლეთით 400 მეტრი იყო გასავლელი ციცაბო კლდის ძირას. გამოქვაბული ამ კლდის თავზე იყო, 4100 მეტრ სიმაღლეზე. დიდი სიძნელეების გადალახვით, ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით ალექსანდრა ჯაფარიძემ და მთამსვლელმა ლევან სუჯაშვილმა ზემოდან მიაღწიეს გამოქვაბულს. კარს მიმაგრებული რკინის ჯაჭვი შვეულ კედელზე იყო დაშვებული, ბოლოში კი ნავისებური ფორმის რკინის ნაჭერი ჰქონდა დამაგრებული, რომლის მეშვეობითაც ზედ ასვლა ადვილდებოდა.

ჯაჭვი ეშვებოდა პატარა მოედანზე, რომელზეც სამი კაცი თუ დაეტეოდა. ძველად ალბათ აქამდე ბილიკი იყო გაჭრილი, რომელიც დროთა განმავლობაში წაიშალა.

გამოქვაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვის ტრაპები იდგა.

გამოქვაბულში ალპინისტებმა 20 ნივთი ნახეს. მეცნიერთა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ აკადემიკოსები გ. ჩუბინაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები ი. სონღულაშვილი და თ. ლომაური, დაათარიღა ეს ნივთები და ღირსშესანიშნაობად ჩათვალა XI-XIII სს. ხატი-დროშა, უფრო ადრინდელი — შანდლის ბრინჯაოს ძირი, ერეკლე მეორის დროინდელი ვერცხლის ფული, XVII-XVIII სს. ირანული ფული, ნაქარგი პირსახოცი, რკინის ისრები... კომისიის დასკვნით, საჭირო იყო ბეთლემის გამოქვაბულის მიდამოების გამოკვლევა მთამსვლელების, არქეოლოგების, ფოტოგრაფის, ტოპოგრაფისა და სხვათა მონაწილეობით შედგენილი ექსპედიციის მიერ. გამოქვაბულის მიდამოები რომ წარსულში დასახლებული ყოფილა, ამას მოწმობდა „ნაცარგორასთან“ სამონასტრო ნაგებობების ნაშთები და სხვა ნივთები, ხელოვნური გამოქვაბულები — ბერების სადგომი.

დროთა განმავლობაში ამ სამონასტრომ, როგორც ჩანს, დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მიუვალი გახდა. მას მოხევეები „ბერების ნადგომს“ უწოდებენ. ბეთლემის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს აღმწერელი ვახუშტი ბაგრატიონი: „მყინვარსა კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გადმოკიდებული ქვაბიდამ და მით აღვლენ, იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა, არამედ მე ვდუმებ, კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცარიელი“.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საქართველოს ავეჯ-

მიანობის დროს ბეთლემს, მიუვალობის გამო, საგანძურად იყენებდნენ. ხევში ასეთი თქმულებაა დარჩენილი:

„ურჯულოები ჩათის მთიდან შემოესივნენ ხევს. აიღეს დარიალის ციხე, დაიპყრეს ხევი და, ვიდრე საქართველოს დედაქალაქზე გაილაშქრებდნენ, სცადეს სამების განძეულის ხელში ჩაგდება. მწყემსმა ლეგამ დატყვევებული ძმისაგან შეიტყო მტრის განზრახვა. განძი — მრავალი ძვირფასი ნივთი — მყინვარწვერის გამოქვაბულში გადამალა, თვითონ კი მცველად დაუდგა“.

გამოჩენილი მწერლის და მთამსვლელის ლევან გოთუას ერთ-ერთ მოთხრობაში — „კავკასიონის ილიადა“ (წიგნი „მგზავრული კრიალოსანი“) აღწერილია ქართველ მწერალთა და მთამსვლელთა მოგზაურობა ილიას სამყაროში.

საგურამოს შემდეგ მოგზაურები ყაზბეგს ჩადიან, გვირგვინით ამკობენ ხევის დიდი მოჭირნახულის ალექსანდრე ყაზბეგის საფლავს. შემდეგ კი ყაზბეგის მეტეოსადგურისაკენ მიმავალ გზას დაადგებიან.

მეტეოსადგურში ასასვლელად გერგეტის ყინვარია გასავლელი. ლევან გოთუა მისთვის დამახასიათებელი აღფრთოვანებით გადმოგვცემს ამ ექსპედიციის მიზანსა და მსვლელობას:

„საბერწეს გადასავალი, გერგეტის ყინვარის ზღაპრული ხედი. მყინვარწვერი კიდევ ნისლშია... მაგრამ ჩვენ საბერწეს ძირში წყაროს ვუმზერთ. თავიდანვე მიზანში გვაქვს ამოღებული. წყარო დიოდა, ყინვარების ნაწური, ათასწლოვანი, უსახელო.... მივწვდი და იგი უეცრად არა მარტო სახელიანი — სახელოვანიც გახდა. მწერლები და მთამსვლელები სიყვარულით შემოვესიეთ, მოვაპირკეთეთ. ქვები მოვუწყვეთ. ედიშერ ყიფიანმა ილიას წყაროდან საგანგებოდ წამოღებული ერთი მათარა წყალი შიგ ჩაასხა, მის ღარზე დაადინა.

გერგეტის ყინვარიდან კარგად ჩანს მორენების ბოლოში ქვის დიდი ჯვარი, რომელიც „ბერთა ნადგომს“ დაჰყურებს თავს. გერგეტის ყინვარის გავლის შემდეგ ექსპედიციის წევრებმა ბინა მეტეოსადგურში დაიდეს. სადგურში ყოფნისას მწერალთა ჯგუფი ილიასეულ ბეთლემის გამოქვაბულისაკენ გაეშურა.

...ხმიანებენ წერაყინები. იშლება თოკი. თოვლიანი კლდე ძუნწად და პირქუშად გვითმობს სავალს. მთის სამოსმა და განსაკუთრებით შებოლილმა სათვალეებმა ისე გამოსცვალეს მწერლების იერი, რომ მათ შორის ჟანრობრივ განსხვავებას ვეღარა ვგრძნობ... აქ, ვგონებ, ყველანი რომანტიკოსები არიან!

და, ჰა, მივწვდით... სულ ახლოს, მაღლა, ბეთლემის გამოქვაბულია, კლდის გულზე ჯაჭვი შავმტკიცედ ბზინავს! აქ სავალი სულ ჩანგრეულია... ნაწილიც ზედ თავზე „ცოცხალ ქვებად“ ჰკიდია“.

ალექსანდრა ჯაფარიძე და ლევან სუჯაშვილი ზვერავენ ბეთლემს. ისინი ხომ ამ ქვაბის ძირითადი აღმომჩენები და 1948 წელს პირველშემსვლელნი არიან!

ლევან სუჯაშვილი და გურამ თიკანაძე უკვე მისწვდნენ ძველ ჯაჭვს, ზედ მეოცე საუკუნის თოკი ჩამოაბეს, ჩვენ მივწვდით საწადელს — ბეთლემის ჯაჭვს ერთად ვარხევთ და ვაჩხრიალებთ! განსაკუთრებით ის გვამხნევებს, რომ ჩვენ აქ განდეგილებად კი არ მოვსულვართ, არამედ ხალხის შვილებად, ილიას შვილებად, მისი კალმისა და საქმის მემკვიდრეებად. ბეთლემის ჯაჭვიც ახლა წარსულსა და აწმყოს აკავშირებს. ამ ჯაჭვის ჩხრიალშია ამირანის ბრძოლაც, წიწამურის ტკივილიც, ხალხთან განუყრელობის გრძნობაც, აწმყოსა და მომავლის რწმენაც! აქ, დღეს, — ჩვენთან ერთად თვით დიდი ილიას მებრძოლი, უკვდავი სულიც ამობრძანდა და ცხოვრებას კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა!

უფრო ხმიანად აჟღერდა ჯაჭვი! ყველამ გაიგოს საქართველოს კიდითკიდემდე!“

ბეთლემის შემდეგ ექსპედიციის წევრებმა დაიპყრეს კავკასიონის მშვენება — მყინვარწვერი. და აი, 5043 მეტრ სიმაღლეზე მყინვარწვერსაც დაედგა ვაზისა და კაკლის გვირგვინი სწორედ იმ ადგილას, საიდანაც ოდესღაც ილიასეული „აჩრდილი“, როგორც მისი უკვდავი სული, თავის ქვეყანას სამფარველოდ გადმოსცქეროდა. ქვევიდან კი — ქვეყნის სიღრმიდან ამოვარდნილი ფეთიანი ქარი გვირგვინის თეთრ ბაფთას აფრიალებდა. ზედ წარწერა იყო: „ილიას სადიდებლად, მყინვარწვერის დასამშვენებლად — ქართველი მწერლებისაგან“.

ილია ჭავჭავაძის სახელი ჰქვია მწვერვალს ყაზბეგის რაიონში, ხდეს მიდამოებში. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 4360 მეტრია. მისი დაპყრობა ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის მიერ მხატვრულად აქვს აღწერილი ლევან გოთუას წიგნში „ხდედალეულნი“.

ასე დაედგა უმაღლესი და ულამაზესი ძეგლი ილია ჭავჭავაძეს კავკასიონზე.



დენიზა გოზალიშვილი

# ქურდღლები და ჩაიდნები

ზაალ ბაბადუა მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა



— აქეთ მოეთრიე! — დააცხრა დედამისი და თავისკენ მიაქიჩმაჩა. უხეშად წაავლო ხელზე ხელი, წამში შეუკრა ღილი და უსიტყვოდ უბიძგა ზურგში, გადიო.

ყველაფერს ხელმოკლეობის ნიშანი აჩნდა. გივი ლოჯიაში იწვა, დამინახა თუ არა, თვალები შიშითა და მუდარით მომაპყრო. ფერმკრთალ სახეზე ლაწვისთავები წითლად უღვივოდა.

— რა მოგივიდა, გივი?!

— ფეხი ვიტკინე, — წყნარად მომიგო.

— მანახე ერთი, შენ მოუკვდი დედაშენს! — ქალმა სწრაფად გადახადა საბანი და პირკატა მეცა. მარცხენა ფეხი მწიფე ქლიავისფრად ჩალურჯებოდა და დასიებოდა.

— ვაი, რატომ ვარ ცოცხალი! — თავზე ხელები წაიშინა ქალმა. — შენ კიდევ, რატომ კისერი არ მოგტეხა ღმერთმა! რა მეშველება ახლა, რა ვქნა, კიდევ ეს მინდოდა მე?!

მე გივის მივჩერებოდი, მისი მოთმინებით გაოცებული. ალბათ როგორი ტკივილი ჰქონდა და ხმას კი არ იღებდა!

—ქალბატონო, ნუ ტირით. ახლავე სასწრაფოს გამოვიძახებ. თუმცა, მამაჩემი ჯერ არ წასულა და თვითონ წაიყვანს თავისთან! — ვთქვი და გარეთ გამოვვარდი. მამაჩემს იმ დროს მივუსწარი, როცა მანქანაში ჯდებოდა.

— რა იყო, დევ, კიდევ რამე ხომ არ მოხდა?!

მამას სწრაფად ავუხსენი, რაშიც იყო საქმე.

— დაჯექი, წავიდეთ! — უყოყმანოდ მითხრა.

ორ წუთში უკვე გივის სახლთან ვიყავით. კარზე დავაკაკუნე და მიპატიჟებას არ დავლოდებივარ, ისე შევაღე კარი. შევედით და მეორე ოთახიდან გივის დედაც გამოვიდა. თმა დაევარცხნა, უფრო ახალგაზრდად და ლამაზად გამოიყურებოდა.

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო, — მიესალმა მაჩემი.

— მობრძანდით. ღმერთო მომკალი, როგორ შეგაწუხეთ!

— არაფერია, არაფერია! — თქვა მამამ და ლოჯიაში მიჰყვა ქალს. ქალმა საბანი გადახადა გივის. მამას სახე გაუქვავდა.

— შვილო, როდის მოგივიდა?!

— წუხელ მოსვლია, — გივის დაასწრო დედამისმა. — მე ვმუშაობდი და გვიან მოვედი, ესენი დაწოლილები დამხვდნენ და ამ დილითღა გავიგე.

— ღმერთო! მთელი ღამე რამ მოგათმენინა, შვილო!

— მამა გაოცებას ვეღარ მალავდა. — ყოჩაღ შენს ბიჭობას! — გივის თავზე გადაუსვა ხელი. — ქალბატონო სწრაფად ჩააცვით.

მე და მამა ოთახში გამოვედით.

— მოტეხილია? — ვკითხე მამას.

— ჰო. აშკარად ეტყობა.

მალე გივის დედაც გამოვიდა.

— ჩააცვით, ქალბატონო? — ჰკითხა მამამ.

— კი, ბატონო.

გივი საწოლზე წამომჯდარიყო და გაწამებული სახე ოფლით დანამვოდა. წამოდგომა დააპირა.

— მოიცა, შვილო! — მამამ პატარა ბავშვივით აიყვანა ხელში გივი; იმან კისერზე შემოხვია ხელები.

მამამ გივი ფრთხილად ჩაიყვანა, მანქანის უკანა სალონში მიაწვინა და ფეხები სავარძელზე დააწყობინა.

— თქვენ წინ დაბრძანდით, ქალბატონო; შენ და ამ პატარა გოგონამ კი ფეხით ჩაირბინეთ სკოლაში. — მითხრა მამამ.

— მამა, შენთან მიგყავს?

— არა, შვილო, ტრავმატოლოგიურში წავიყვან. იქ ჩემი მეგობრები არიან და ყველაფერს გაუკეთებენ. — მამა საჭეს მიუჯდა და თეთრი „გაზ-24" დაიძრა.

— წავიდეთ, — ვუთხარი გივის დას და მხარზე ხელი გადავხვიე. — რა გქვია?

— შორენა.

— რომელ კლასში ხარ?

— მესამეში.

— მამა სად არის?

— სადღაც რუსეთშიაო, დედამ თქვა. იქ სხვა ცოლი ჰყავსო.

— დიდი ხანია?

— კი, დიდი ხანია.

5

გაკვეთილზე კინაღამ დამაგვიანდა, ელენე მასწავლებელს ერთი ნაბიჯითღა შევასწარი.

მასწავლებელმა უხმოდ მოავლო კლასს თვალი და მერე ჯგუფორგს მიმართა: — ნაჭყებია, ფურცხვანიძე არ მოსულა?

— არა, პატივცემულო! — წამოდგა ნინო.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ელენე მასწავლებელმა და ჟურნალი გაშალა.

---

დასასრული. იხ. „პიონერი" № 7, 8, 9.

— რატომ, პატივცემულო? — ჰკითხა კობრამ.

სანამ ელენე მასწავლებელი ხმას ამოიღებდა, გავი-ფიქრე: „იცის! მაგრამ საიდან?!“ ელენე მასწავლებელმა კი კლასს გადახედა და წუთიერი დუმილის შემდეგ ჩვე-ული ხმით თქვა:

— იმიტომ, რომ ფურცხვანიძემ მოიპარა ფული!

— ააჰ! — აღმოხდა კლასს და ჩემკენ იბრუნა პირი. გაოცებით მომჩერებოდნენ.

„საიდან გაიგო?! დავიჯერო, მეგიმ გაყიდა?!“ მეგის გავხედე. განაცრისფერებულ სახეზე სასოწარკვეთა აღ-ბეჭდვოდა.

— დიახ, ფურცხვანიძემ მოიპარა ფული და მე მორა-ლური უფლება არა მაქვს, ეს დავუმალო კლასს!

— მასწავლებელო, თქვენ ხომ პატიოსანი სიტყვა მო-მეცით, შემპირდით! — წამოიძახა მეგიმ და ფეხზე წამო-ვარდა. სახე ალანძვოდა, ტუჩები გაცრეცვოდა, ხმა კი სატირლად უკანკალებდა.

— რას შეგპირდი, მეგი? ნუთუ ფიქრობ, რომ მე მარ-თალი ვიქნები, მხარი დავუჭირო შენი და ჩიჩუას სულე-ლურ თამაშს და მფარველობა გავუწიო ქურდს?! — ელე-ნე მასწავლებელი მშვიდად უყურებდა მეგის და ასე მშვი-დადვე ლაპარაკობდა.

უცებ მეგი ისე აღრიალდა, რომ მისმა ხმამ კლასი შეძრა. ასე აღრიალებული გავარდა გარეთ. ელენე მასწავლებელი კი აუღელვებლად მოტრიალდა კლასის-კენ და იკითხა:

— ვინ მივა ფურცხვანიძის მშობლებთან და ეტყვის, რომ ხვალ სკოლაში მოვიდეს?

— ფურცხვანიძესთან მისვლას აზრი არა აქვს, რად-გან გივი საავადმყოფოშია და დედამისი თავზე ადგას, — ვთქვი მე.

— ჩიჩუა, ჩემთვის სრულებით გაუგებარია შენი და ამირეჯიბის ქცევა. პირდაპირ გაოცებული ვარ, რატომ აფარებთ ქურდს ხელს, ან რას ჰგავდა შენი საქციელი? ამდენი მასწავლებელი, მათ შორის დირექტორი, კლას-ში იყო და შენ თავხედურად გავარდი კლასიდან.

— გივის ხელს იმიტომ ვაფარებ, ელენე მასწავლებე-ლო, რომ გივი არ არის დამნაშავე. დამნაშავე ჩვენა ვართ.

— ერთი ამიხსენი, ჩიჩუა, რაში ვართ დამნაშავე ჩვენ? რა, ჩვენ ვურჩიეთ ფურცხვანიძეს, ჩადი სამასწავ-ლებლოში და ნინო მასწავლებლის ჩანთაში აფათურე ხე-ლებიო?!

— ჩვენ იმაში ვართ დამნაშავენი, რომ გივი არავის არ გვაინტერესებს; არ გვაინტერესებს, რატომ მოიპარა გივიმ სამი მანეთი და არა ასოცდაცამეტი მანეთი, რო-გორც აქ გუშინ ითქვა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჩიჩუა, რამდენი იყო ფული, ქურდი ქურდია!

— აქვს, მასწავლებელო. გივიმ ის სამი მანეთი გურა-მის მისაცემად მოიპარა, რადგან მისთვის რომ არ მი-ეტანა ფული, ის სცემდა. გივი ამას სახლში ვერ იტყო-და, ვინაიდან დედამისს ფული არა აქვს. არც ჩვენი იმე-დი ჰქონდა, თორემ გვეტყოდა, გურამი ფულს მძალავს და დამეხმარეთო. ახლაც, აგერ გითხარით, გივი საავად-მყოფოშია-მეთქი და არავის არ გიკითხავთ, რა სჭირს, რა მოუვიდაო.

ელენე მასწავლებელს სახეზე ალმური მოედო. თმა-ზე წამდაუწუმ ისვამდა ხელს, როგორც დიდი აღელვე-ბისას სჩვეოდა. კლასში ისეთი დუმილი ჩამოვარდა, იფიქრებდი, აღარ სუნთქავენო.

— შენ რატომ გაიქეცი კლასიდან, იქნებ ეს აგვიხსნა? — როდის-როდის მკითხა ელენე მასწავლებელმა და რაღაცნაირად დაბნეულმა შემომხედა.

— იმიტომ რომ, მე არ შემეძლო იმის ყურება, ჩემს გამო როგორ შეურაცხყოფდით კლასს. თქვენ მე გეგო-ნეთ ქურდი და, ჩემი ქურდობა რომ დაგემტკიცებინათ, წესიერების ფარგლებში, მთელ კლასს ჩხრეკდით, — ვთქვი და გავჩუმდი.

— დევი სწორია! — დუმილი დაარღვია, კობრამ. — მართლაც ყველაფერი ჩვენი ბრალია და მე ამას ახლა ვხვდები! — წუთით გაჩუმდა, მერე დაუმატა: — სამწუხა-როდ! — სათვალე გაისწორა და ჩემკენ შემოტრიალდა: — მადლობელი ვარ, დევი, შენი მადლობელი ვარ! შენ სწორად მოიქეცი, ჩვენ კი პირდაღებული ვსხედვართ, როგორც სეირის მაყურებელი ბრბო! ხომ ასეა? — მიმა-რთა კლასს.

კლასში ისეთი გუგუნი ატყდა, ვერ გაარჩევდი, ვინ რას ყვიროდა.

— კარგი, დაწყნარდით და ამაზე მერე ვილაპარა-კოთ, ახლა გაკვეთილი! — რუკის საჩვენებელი ჯოხის მა-გიდაზე კაკუნით მოგვიწოდებდა სიჩუმისაკენ ელენე მასწავლებელი.

შესვენებაზე დირექტორთან დამიბარეს. დირექტო-რი მაგიდასთან იჯდა და რაღაცას წერდა.

— მოდი, მოდი, დევი! — ხმადაბლა, თავაუღებლად მიმიპატიჟა. — დაჯექი, ერთი წუთით, ეს უნდა მოვამ-თავრო.

კარი ფრთხილად მივხურე და იქვე სკამზე დავჯექი.

— ახლა ჩვენი საუბარი შინაურული, არაოფიციალუ-რი იქნება, — თქვა ცოტახნის შემდეგ დირექტორმა და წამოდგა. — გულახდილად მითხარი, რატომ გაიქეცი გუშინ?

— პირველად მეც არ ვიცოდი, ელიკო მასწავლებე-ლო. თავი ძალიან დამცირებულად ვიგრძენი, საზიზღა-რი გრძნობა გამიჩნდა, რომ ვნახე, ჩემს გამო მთელ კლასს როგორ შეურაცხყოფდნენ.

— რატომ მიიღე შენს თავზე?

— მე ხომ ვიცოდი, რომ კლასს მხოლოდ ჩემს გამო ჩხრეკდით. თქვენ სხვა კლასებში ხომ არ შესულხართ? თქვენ გაიგეთ, რომ სამასწავლებლოში მე ვიყავი და იფიქრეთ, რომ ფული მე ავიღე.

— შენ იცოდი, რომ ფული ფურცხვანიძეს ჰქონდა აღებული?

— არა, ელიკო მასწავლებელო. ამას გვიან მივხვდი. სამასწავლებლოში რომ ჩავედი, გივი იქვე შემხვდა.

— რატომ იმაზე არ იფიქრე, — შენი ასეთი საქციე-ლით ყველას დაარწმუნებდი, რომ შენ იყავი დამნაშავე?

— ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა. თქვენ ფულს რომ ვერ მიპოვიდით, ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა

არც თქვენი და არც კლასის თვალში. ყველანი მაინც დარწმუნებულნი იქნებოდით ჩემს დანაშაულში.

— დამნაშავეს რატომ აფარებდი ხელს?

— გივი არ არის დამნაშავე!

— როგორ?!

— ჩვეულებრივ. დამნაშავეა მთელი კლასი და, თუ სიმართლეს ვიტყვით, ელენე მასწავლებელი.

— ვერ გაგიგე, დევი!

— ელიკო მასწავლებელო, ხომ გახსოვთ სატელევიზიო გადაცემა — „მოიპარეს ბიჭები". იმ გადაცემაში ლაპარაკი იყო, რატომ და როგორ გვპარავდნენ ბიჭებს. ასე მოგვივიდა ჩვენც. გივი მარტოდ დავტოვეთ. მასთან არავინ მეგობრობს. იმიტომ კი არა, რომ ცუდი ბიჭი იყოს, არამედ იმიტომ, რომ თავს დაჩაგრულად გრძნობს. მამამისი სახლიდან წასულია, ხელმოკლედ ცხოვრობენ. მისი სიმარტოვით ისარგებლა გურამმა, ერთი მოხულიგნო ბიჭია მის უბანში, და ცემის მუქარით ფულს სძალავს. ჩვენ კიდევ არავინ დავინტერესებულვართ, რატომ არ დადის გივი ჩვენთან ერთად კინოში, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, თუნდაც ნაყინის საჭმელად, რატომ გვერიდება. ელენე მასწავლებელს მხოლოდ ის აინტერესებს, კლასში წესრიგი არ დაირღვეს, გაკვეთილები არავინ გააცდინოს, ასპროცენტიანი მოსწრება ჰქონდეს. გივი დღეს საავადმყოფოშია. გუშინ, საღამოთი, ფეხი მოუტეხია და, გვიან მოსული, დაღლილი დედა რომ არ შეეწუხებინა, მთელი ღამე ფეხმოტეხილი იწვა თურმე და კრინტი არ დაუძრავს. დედამისმა მხოლოდ ამ დილით გაიგო, როცა ფეხზე ვერ ადგა. ფეხი კი საშინლად ჰქონდა. მის შემხედვარე ექიმს თმა ყალყზე დაუდგა, ამ ჯოჯოხეთურ ტკივილებს მთელი ღამე როგორ გაუძლიო, უთხრა. დღეს ელენე მასწავლებელმა რომ იკითხა, ფურცხვანიძე სად არისო, და მე რომ ვუთხარი, საავადმყოფოშია-მეთქი, არავის აზრად არ მოსვლია, ეკითხა ჩემთვის, გივის რა სჭირსო, — სულმოუთქმელად ვთქვი. — ბოდიში, ელიკო მასწავლებელო, რომ ამდენს ვლაპარაკობ...

— არა, დევი, ილაპარაკე, მე გისმენ. ბევრ რამეში შენ მართალი ხარ. სამწუხაროდ, ჩვენ, დიდები, ყოველთვის არა ვართ მოწოდების სიმაღლეზე. ეს ფაქტია. შენ წეღან ელენე მასწავლებელზე თქვი, სხვა არაფერი აინტერესებსო, ასე იმიტომ ხომ არ ამბობ, რომ ის მომთხოვნია და მკაცრი?

— არა, ელიკო მასწავლებელო. მასზე ნაკლები მომთხოვნი და მკაცრი არ არიან გიორგი და თამარ მასწავლებლები, მაგრამ მათზე ვერავინ ვერ იტყვის, კარგები არ არიანო, რადგან ისინი ყოველთვის სამართლიანები არიან. მათ შეუძლიათ გაგიგონ და გაპატიონ და მერე არასოდეს არ წამოგაყვედრებენ იმას, რომ ერთხელ გაპატიეს. მათ, სიმკაცრის გარდა კიდევ აქვთ სხვა რაღაც, რასაც რა ჰქვია, მე არ ვიცი. ერთხელ კლასის კარებში თითი მომყვა და მომეჭეჭყა. სიმწრისაგან იქვე ვხტუნაობდი. უცებ კლასში თამარ მასწავლებელი შემოვიდა და ასეთ დღეში რომ დამინახა, აბა მაჩვენეო, მითხრა, და სანამ მე ხელს გავუწვდიდი, თვითონ მომკიდა ხელ-



ზე ხელი. ჩემი გასისხლიანებული თითის შემხედვარე შეკრთა და მერე იმ სისხლიან თითზე მაკოცა. მე ვერ გადმოგცემთ, ელიკო მასწავლებელო, იმ წუთში რა მომივიდა! მეგონა, ჩემს წინაშე დედა იდგა, რომელსაც ჩემი ტკივილი სტკიოდა. ის დღე არც მე და, ალბათ, არც მთელ კლასს არასოდეს არ დაავიწყდება. ამას წინათ კლასში ვთამაშობდით, ვხმაურობდით, ვიცინოდით. უეცრად, ელენე მასწავლებელი და გიორგი მასწავლებელი შემოვიდნენ. გიორგი მასწავლებელი იმ დღეს მორიგე იყო.

— ბატონო გიორგი, ხედავთ, რა დღეში არიან, რა უნდა ვუყოთ ამათ?! — თქვა ელენე მასწავლებელმა.

გიორგი მასწავლებელს თვალებში მხიარულმა სხივმა გაუელვა და ღიმილით მიუგო:

— მერე რა, ქალბატონო ელენე. როცა ჯანმრთელი ბავშვები იზრდებიან, ისინი ცელქობენ. ეს ბუნებრივია და საგანგაშო ამაში არაფერია.

ამიტომ ვამბობ, რომ ელენე მასწავლებლისათვის მთავარია, ყველაფერი ყოველთვის წესრიგში იყოს, რომ მას შეეძლოს თქვას: — ჩემი ბავშვები დისციპლინას არ არღვევენ, ჩემი კლასი თითით საჩვენებელიაო.

— სხვისი განსჯა ადვილია, დევი. თქვენ, მოზარდებმა ხომ არ იცით, როგორი რთული ცხოვრება გვაქვს უფროსებს?

— დიახ, მაგრამ ჩვენი განსჯა კი შეიძლება ხელაღებით? უფროსებს არ უნდათ, ჩვენს მდგომარეობაში შევიდნენ. მათ არ ჰგონიათ, თუ ჩვენც გვაქვს პრობლემები, სირთულეები...

— შენ კარგი ბიჭი ხარ, დევი. ძალიან კარგი ბიჭი! — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ელიკო მასწავლებელმა. — მაგრამ შენთვის ბევრი რამ ჯერაც გაუგებარია და ეს რომ გაიგო, ცხოვრების გამოცდილება გჭირდება, ადამიანისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე გამოცდილებაა. მადლობელი ვარ შენი, დევი! — თავზე ხელი გადამისვა. რაღაც საოცრად გამიხარდა. თითქოს გავიზარდე, ძალა მომემატა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ელიკო მასწავლებელო! — წამოვდექი.

— კარგად იყავი, შვილო! კინაღამ დამავიწყდა, ფურცხვანიძე რომელ საავადმყოფოში წევს?

— თქვენ მას ახლა გინდათ უთხრათ...

— არა, დევი, მე ახლა არაფერს არ ვეტყვი, უბრალოდ, მინდა ვინახულო.

კართან მობუზული მეგი დამიხვდა. ისეთი სასოწარკვეთილი, უმწეო სახე ჰქონდა, შემეცოდა.

— გეზიზღები, ხომ?

ყურადღებით შევავლე თვალი. სრულებით არ მეზიზღებოდა.

— ვინ გითხრა, საიდან მოიტანე?!

— არა, ვიცი, რომ გეზიზღები. გამცემები ხომ ეზიზღებათ, მაგრამ ჩემი ბრალი არაა, დეივ. სახლში რომ მივედი, ელენე მასწავლებელი დამიხვდა. ერთი საათი მიტრიალა დედაჩემთან ერთად, მერე დაიფიცა, არავის ვეტყვიო... — თქვა და ცრემლები წამოსცვივდა.

— კარგი, ოღონდ ისევ არ აღრიალდე და უკვე არ ვჯავრობ.

საღამოს გივი ვინახულე საავადმყოფოში. უცნაურ საწოლზე იწვა და მაღლა აწეულ ფეხზე გირი ეკიდა. თვალები უბრწყინავდა.

— როგორა ხარ?

— კარგად. იცი, დირექტორმა და ელენე მასწავლებელმა მინახულეს, ხილი მომიტანეს, — მომახარა.

— კარგია. გტკივა?

— უკვე არა. ნემსი გამიკეთეს.

— ოპერაცია გაგიჭირდა?

— სულ არ გამიგია, მეძინა.

— როგორ მოგივიდა?

— ჩვენს მეზობელს მეშვიდე სართულიდან სარეცხი ჩამოუვარდა და მეორეზე სარეცხის გასაფენ თოკებზე გარჩა. სახლში არავინ არ იყო იმათთან, ამიტომ პირველი სართულიდან ავძვერი და ჩამოსვლისას ჩამოვვარდი.

სალაპარაკო ერთბაშად შემოგველია. ამიტომ ვკითხე:

— მთელი დღე რას აკეთებ?

— არაფერს!

— მაშინ ხვალ წიგნს მოგიტან. „სამი მუშკეტერი" წაგიკითხავს?

— არა.

— აუჰ, ზღაპარი წიგნია!

მეორე დღეს გაკვეთილების დაწყებამდე კობრამ გვერდზე გამიხმო და მკითხა:

— დევ, შენ თუ იყავი გივისთან?

— კი. საღამოს ვიყავი.

— როგორ არის?

— კარგად. ოპერაცია გაუკეთეს.

— დღესაც აპირებ წასვლას?

— კი.

— მეც წამოვალ.

ჩვენთან ერთად წამოვიდნენ: ჯიმი, ჯო, მანგუსტა და აქილევსი. დაწალიკებულნი შევედით პალატაში. გივის თვალები გაუბრწყინდა. დედამისიც იქ იყო და იმასაც ძალიან გაუხარდა. გივის შეპირებული წიგნი მივუტანე. მანამდის დავრჩით, სანამ ექიმმა არ გვითხრა, ახლა გეყოფათ, ავადმყოფი დაიღლებაო. დედამისმა მადლობა გადაგვიხადა და კიბემდე გამოგვაცილა, მერ მე მომიბრუნდა და მითხრა, მამაშენის პატივისცემას როგორ გადავიხდი, არ ვიციო. ყველანი თავზე დაახვია, ვინც აქ საუკეთესო ექიმები იყვნენ, ახლაც თავს დაგვტრიალებენო.

— ბიჭებო, როგორ იქნება გივის საქმე? — იკითხა კობრამ საავადმყოფოდან გამოსვლისთანავე. — მართალია, ახლა ავადაა, მაგრამ რომ გამოვა, საკითხავია, რას უზამს დირექტორი, შეიძლება არც დაუშვას სკოლაში.

— რომ ვთხოვოთ? — იკითხა მანგუსტამ.

ასეც გავაკეთეთ. მეორე დღეს დიდ შესვენებაზე მთელი კლასი დირექტორის კაბინეტის კარს მივადექით.

— გისმენთ, მეგობრებო, რაზე გარჯილხართ? — გვკითხა მან და ყურადღებით შეგვავლო თვალი.

აქილევსმა კობრას უბიძგა მსუბუქად, ხმა ამოიღეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კობრამ სათვალის ჩარჩოს შუაში იტაკა საჩვენებელი თითი, ადგილზე ფეხი მოინაცვლა და თქვა:

— პატივცემულო ელიკო მასწავლებელო, ჩვენ იმის სათხოვნელად ვართ მოსული, რომ გივის აპატიოთ ეს შეცდომა.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, ელიკო მასწავლებელო, რომ მსგავსი რამ არასოდეს მოხდეს ჩვენს კლასში, — მხარი აუბა მეგიმ.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, პატივცემულო, — თქვა ჯიმიმ.

— კარგი, ვენდობი თქვენს პატიოსან სიტყვას! — თქვა ღიმილით დირექტორმა. — შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ!

იმ დღეს მთელი კლასი წავიდა გივის სანახავად. კარისკაცმა ჯერ გოგონები გაატარა და, ისინი რომ ჩამოვიდნენ, მერე ბიჭებიც ავედით. მას მერე ათი-თორმეტი კაცი ყოველდღე დავდიოდით. „სამი მუშკეტერი“ რომ მივუტანე, იმის მესამე დღეს გივიმ მითხრა:

— დევი, მართლაც რა კარგი წიგნი ყოფილა. კიდევ თუ გაქვს ასეთი რამ, მათხოვე.

— მაშინ ხვალ „საიდუმლო კუნძულს“ მოგიტან, მერე „რობინზონ კრუზო“ წაიკითხე.

გივი ისე სწრაფად კითხულობდა და მიბრუნებდა წიგნებს, რომ ერთ დღეს დავეჭვდი, ბოლომდე თუ კითხულობს-მეთქი, მაგრამ საუბარი რომ ჩამოვუგდე, მთელი წიგნები ლამის ზეპირად იცოდა. ახლა მისთვის ბიჭებსაც მოჰქონდათ წიგნები. კობრამ „შერლოკ ჰოლმსი“ მოუტანა, ჯიმიმ ფანტასტიკური მოთხრობების კრებული. გივი თანდათან შეგვეჩვია. ბიჭებმა ჭადრაკის თამაში ასწავლეს და აქილამ ერთ დღეს პორტატული ჭადრაკი მოუტანა საჩუქრად. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა გივის საავადმყოფოდან გამოსვლის მერე. ახლა იგი უჩვენოდ წუთს ვერ ძლებდა. ძველებურად განაგრძობდა წიგნების კითხვას და სწავლასაც საგრძნობლად უმატა.

ერთ დღეს გივი თვალამოლურჯებული მოვიდა ჯიმისთან, სადაც ვიყავით მე, კობრა, მანგუსტა, ჯო და აქილა.

— ვინ გაგალამაზა? — კარებშივე ჰკითხა ჯიმიმ.

— გურამს ვეჩხუბე.

— ბიჭებო, მივდივართ! — თქვა ჯიმიმ, — ოღონდ შევთანხმდეთ, მე ვიწყებ!

გურამის ძებნა არ დაგვჭირვებია. ვილაც ორ ბიჭთან ერთად გასტრონომის გვერდით დაწყობილ უზარმაზარ მილებზე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა.

— ერთი, ჩამობრძანდი დაბლა, მინდა ახლო გაგეცნო! — ასძახა ჯიმიმ.

— მეე? ხომ არაფერი გეშლება, საყვარელო?! — თითქოს უდარდელად, ნაძალადევი სიმშვიდითა და ღიმილით თქვა გურამმა. ისე კი აშკარად დაეტყო, როგორ წაუვიდა ფერი.

— ჩამოდი, ჩამოდი და ვნახოთ, ვის რა გვეშლება! — თავისაზე იდგა ჯიმი.

გურამი კიდევ უფრო გაფითრდა, თუმცა ინიციატივას ჯერ მაინც არ იტეხდა. სიგარეტი რამდენჯერმე ხარბად მოქაჩა, მერე ნამწვავი წკიპურტით შორს მოისროლა,



წამით შეგვათვალიერა, წამოიზლაზნა და მერე უცებ სხარტად ჩამოხტა. ჯიმი მიუახლოვდა და იმავე წამს ძლიერად ამოარტყა მარცხენა ხელი „მზის წნულში“. ეს იყო ულამაზესი აპერკოტი. გურამს, თითქოს დაყვირება უნდოდაო, პირი ღია დარჩა. მუცელზე შემოიჭდო ორივე ხელი, წელში ოთხად მოიკაკვა, ბზრიალასავით დატრიალდა და მიწაზე დაჯდა. ხუთი წუთი თუ არა, სამი წუთი მაინც პირი ღია ჰქონდა. ერთხანს კიდევ ეჭირა მუცელი ხელით, მერე როგორც იქნა, წამოიკრიფა. მაგრამ, როგორც კი წელში გასწორდა, ჯიმის ცაციამ ისევ თვალ-

თუ სამშობლო გიყვარს, ეს იმას ნიშნავს, რომ გძულს მისი მტერი, საძულველ მტერს კი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ებრძოლო.

ეს მარტივი ჭეშმარიტება თითქოს დაბადებითვე დაჰყვა ზინა პორტნოვას. და როცა ბებიასთან სტუმრად მიმავალ ლენინგრადელ გოგონას, რომელმაც, ის იყო, მეშვიდე კლასი დაამთავრა და ბელორუსიაში, ქალაქ ვიტებსკში მოუსწრო ომმა, წამითაც არ უყოყმანია, ისე გადაწყვიტა — ულმობლად ებრძოლა ვერაგი მტრის წინააღმდეგ.



# ზინა პორტნოვა

ზინა დაბა ობოლის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის — „ნორჩ შურისმაძიებელთა" აქტიური წევრი გახდა. ორგანიზაციის სულისჩამდგმელები იყვნენ ბელორუსიაში მოქმედი ქართველი პარტიზანები — ვლადიმერ თალაკვაძე და გრიგოლ ვახტანგაძე. ზინა პარტიზანებისა და „ნორჩ შურისმაძიებელთა" მეკავშირის მოვალეობას ასრულებდა.

ერთ-ერთი პირველი დავალება, რომელიც ვლ. თალაკვაძემ ობოლელ იატაკქვეშელებს მისცა, ფაშისტი ჯალათის, გერმანელი გენერლის მოსპობა იყო.

...გენერლის მანქანა შტაბის შენობასთან იდგა. მას ავტომატიანი გუშაგი იცავდა. ზინამ საკმაოდ კარგად იცოდა გერმანული და ლაღი საუბარი გაუბა გუშაგს. ამასობაში მისმა მეგობარმა ვალერი იზოფეტოვმა ავტომობილში ნაღმი ჩადო... გენერლის მანქანა გზაში აფეთქდა, ვიტებსკში ჩასვლამდე, მოტოციკლისტთა ესკორტის თვალწინ.

პარტიზანებისა და თავისი ორგანიზაციის დავალებით ზინამ ოფიცერთა სასადილოში დაიწყო მუშაობა. მტრის ენის ცოდნამ ხელი შეუწყო ბევრი საჭირო ცნობის მოპოვებაში. ზედიზედ მარცხით თავდებოდა ფაშისტების წამოწყებული ოპერაციები. ბოლოს და ბოლოს ეჭვი ზ. პორტნოვაზე მიიტანეს, მაგრამ გოგონამ დროზე იაზრა საშიშროება და პარტიზანებთან გადავიდა.

მალე ტყეში ხმა დაირხა, „ნორჩ შურისმაძიებელთა" რაზმი გერმანელებმა დააპატიმრეს და დახვრიტესო. ვლ. თალაკვაძემ ზინას რაზმის ჩავარდნის მიზეზის დადგენა დაავალა. პორტნოვა ობოლში ჩავიდა, იქ ყველაფერი შეიტყო, მასალებიც წამოიღო და უკან გამობრუნდა, მაგრამ გზაში შეხვდა მოღალატე მ. გრეჩუხინი, რომელმაც იცნო გოგონა და ფაშისტებს ჩაუგდო ხელში.

აქედან დაიწყო ზინას წამების გზა. რა არ იღონეს ჰიტლერელებმა — დაპირებები, ალერსი, დაშინება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ერთ-ერთი დაკითხვის დროს გოგონამ დრო იხელთა, ოფიცრის ყურადღების მოდუნებით ისარგებლა, მაგიდაზე დადებულ დამბაჩას დასწვდა და თავისი ჯალათი — გესტაპოს ლეიტენანტი პირველივე გასროლით განგმირა. მეორე ტყვია სროლის ხმაზე შემოსულ მორიგე ოფიცერს შეაგება, ფანჯარა გაამტვრია, გადახტა, გუშაგიც მოკლა და მდინარეს მიაშურა. მდინარის გაღმა ტყე იწყებოდა. მაგრამ ძალები თანდათან ელეოდა გოგონას, მტრები კი ეწეოდნენ. ზინას ტყვიები გაუთავდა, თავისთვისაც აღარ დარჩა..

1944 წლის იანვრის ერთ სუსხიან დღეს, ადრიან დილით, ნორჩ პარტიზანს ავტომატის ჯერით დაუხვრიტეს მკერდი...

1958 წელს პიონერ ზინა პორტნოვას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მისი სახელი ჰქვია ლენინგრადის 385-ე სკოლას, სადაც ნორჩი გმირი სწავლობდა, თბომავალ „ზინა პორტნოვას" და ბევრ პიონერულ რაზმსა და რაზმეულს.

---

მიუდევნებლად მოხაზა ნახევარი წრე და გურამის ყბას საშინელი ძალით ეძგერა.

— ტკაპ! — გაისმა და თითქოს ძვლების ჭახანიც კი გავიგონე. გურამის თავი გამეტებით ავარდა უკან და მაღლა და, იმავე წამს ის ისე დაჯდა მილზე, რომ იფიქრებდი, დილის აქეთ ასე ზისო.

— მე მგონი, დღეს ეს გეყოფა! — უთხრა ჯიმიმ, — მაგრამ გივისთვის თუ საერთოდ გაგიცია ხმა, მერე რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე!

გაოცებული შევყურებდი ჯიმის. აი, რატომ ეძახდნენ თურმე მას ცაცია ჯიმის. მე ვიცოდი, რომ მისი ძმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო კრივში და პატარაობიდანვე ჯიმის ის ავარჯიშებდა. ვიცოდი, რომ ჯიმი კარგი მოკრივე იყო, მაგრამ თუ ასეთი ძლიერი, — არ მეგონა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩ შემოქმედთა კონკურსი „ოქტომბერი ჩვენს გულებში“







„ოქტომბერმა მოგვიტანა“. ნაირა ურატაძე, ლანჩხუთი, აცანის საშ. სკოლა; 12 წლის.

## სტვირი ვარ

მე უბრალო სტვირი ვარ,
ბროწეულის ხის ღერო,
მთელი ჩემი ცხოვრება
ასე უნდა ვიმღერო.
ასე უნდა შევაქო
ჩემი მინდორ-ველები,
ბულბულივით დავუსტვენ,
თავზე შემოვევლები.
აბა ვინ ვარ — სტვირი ვარ,
თქვენთვის ვკვნესი, ვტირივარ,
სადაც ხარობს კესანე,
იქ ვარ, თქვენი კვნესამე.
ვიცი, სტვირის სიცოცხლე
უჰანგებოდ არა ღირს,
მინდა ყველა მისმენდეს —
კაცი, ხე თუ ბალახი,
სანამ სული ხალისით,
სიხარულით ივსება,
სანამ გულში ასეთი
გაზაფხული იქნება,
მთელი ჩემი ცხოვრება
თქვენთვის უნდა ვიმღერო.
მე უბრალო სტვირი ვარ,
ბროწეულის ხის ღერო...

## ქარი

ქარი კვნესის, ქარი უსტვენს,
ხის ტოტებში დაძვრება,
დააქანებს ხეებს სუსტებს,
მერე სადღაც გაქრება.
ნათურებმა ვარსკვლავივით
ბნელში გაიკიაფეს,
ქარი ღამის ლამაზ ჰანგებს
ცას და მიწას მიაფენს...
ქარი კვნესის, ქარი ტირის,
ხეებს მიმოაქანებს,
აიტაცებს ყვითელ ფოთლებს —
შემოდგომის მაქმანებს.
ქარო, ქარო, ნიავქარო,
ასე ანცი რადა ხარ?
როცა გინდა, ჩემთანა ხარ,
მე რომ მინდა, არა ხარ!
შემოიტან შემოდგომის
სუსხს, სტუმარი ნაქები,
მერე უცებ ხელს დამიქნევ
და უჩუმრად გაქრები...

ნინო ელოშვილი,
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, VII კლასი.

## გაზაფხული მხატვარია

გაზაფხული მხატვარია,
დედამიწა — მისი ტილო,
მზის სხივებით ზედ დახატა
ია-ია და ღიღილო,
ყვავილების დედოფალი,
ენძელა და ჩიტისთვალა,
და ბუტია პატარძალაც
იმ ყვავილებს მიათვალა;
ლაჟვარდ ზეცას მიახატა
ფრთახატულა ჩიტუნები.
ხატავს, ხატავს გაზაფხული
სიყვარულით, რუდუნებით.

ქეთინო ნიკოლეიშვილი,
თბილისი, 182-ე საშუალო სკოლა, V კლასი.

18497
ბიბლიოთეკა




# აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

№10


## უფროსების ქება დავიმსახურეთ

წლევანდელმა ზამთარმა იმდენი თოვლი ჩამოყარა თუშეთის მთებში, გაზაფხულმა თითქმის ორი თვით დაიგვიანა.

კვლავაც ჩაკეტილი იყო ზვავებით თუშეთის საავტომობილო გზა, რომლითაც ზაფხულის არდადეგებზე ავდივართ ხოლმე თუში ბავშვები მამა-პაპათა სამოსახლოზე.

თუშეთის მთებს ისევ თეთრი ჩაჩქნები ეხურათ თავზე და, სანამ საავტომობილო მიმოსვლა განახლდებოდა ჩვენს საყვარელ თუშეთამდე, ზემოალვანელი ბავშვები არდადეგების დღეებს უქმად არ ვკარგავდით. უფროსკლასელები თუ მშობლებს ეხმარებოდნენ მეურნეობის ბაღ-ვენახებში, უმცროსკლასელებმაც გადავწყვიტეთ რაიმეთი დავხმარებოდით უფროსებს და ელზა, ემა და ოლია პეტრიაშვილებთან, ია, მაია, ნადონა და ბადრი მიშიძეებთან, ლია და მზია თილიძეებთან, ეკა, ნათელა და დათო ქააძეებთან, ნონა აივაზაშვილთან, ხათუნა, თამილა, ნათია, დათო, კვირია და ელდარ იდოიძეებთან, ნინო ცისკარიშვილთან და მთელი ჩვენი უბნის ბავშვებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, რომელსაც საღამოობით სამუშაოდან დაბრუნებული უფროსებისათვის გასართობი პროგრამა უნდა შეეთავაზებინა.

პირველ ხანებში გამბედაობა და სითამამე გვაკლდა. მერე და მერე კი მივეჩვიეთ სახელდახელოდ მოწყობილ მწვანე სცენაზე თავის დაჭერას, ხმის დამორჩილებასა და უნარის გამოვლენას.

თავიდან ხუთნი-ექვსნი ვიყავით, მერე კი, ორიოდე კვირის შემდეგ ოცდახუთამდე გაიზარდა ჩვენი რიგები. თანდათან საინტერესოსა და შინაარსიანს ვხდიდით პროგრამასაც. სიმღერებს, ცეკვებს, მხატვრულ კითხვას და ინსცენირებებს დაემატა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, კბილი მოვუსინჯეთ საცირკო წარმოდგენებსაც, სხვა გასართობ საშუალებებს.

საუბნო კლუბის წევრად გახდომის მსურველთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ მიღებაზე კონკურსი დავაწესეთ. კლუბის წევრად იმ ბავშვს ვიღებდით, რომელიც უჯერებდა და პატივისცემით ეპყრობოდა უფროსებს, საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა მშობლებს, კვირაში ერთ საათს უთმობდა მომავალი სასწავლო წლის სახელმძღვანელოებს და კლუბის წევრთა წინაშე დადებდა პირობას, რომ უბანშიც, ქუჩაშიც, სოფელშიც და სკოლაშიც იქნებოდა სანიმუშო ყოფაქცევისა, ისწავლიდა მხოლოდ ფრიადსა და კარგზე.

მერე კი, როცა გზა გაიხსნა, კლუბის თითქმის ყველა წევრმა თუშეთისკენ გავწიეთ. ავახმიანეთ დადუმებული სოფლები, ცხვარ-ძროხის მწყემსვაში მივეხმარეთ უფროსებს, შევაგროვეთ სამკურნალო მცენარეები. არც ჩვენი კლუბის საქმიანობა მიგვიტოვებია უყურადღებოდ. მეცხვარეებს ძალიან მოეწონათ ჩვენი კონცერტები.

**ბაკური მიშიძე,**

ახმეტა, ზემო ალვანის 8-წლიანი სკოლა, V კლასი.

## შემოდგომის სურათი

იწურება სექტემბერი. ქუჩაში გოგონა მიდის. ორივე მხარეს ხეები ჩამწკრივებული. ისინი ისეთნი აღარ არიან, როგორიც ზაფხულში იყვნენ. ახლა მათ სიმწვანეს ყვითელი ფუნჯი გადაუსვა ბუნებამ. მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც მოჩანს მწვანე ფოთლები. დროდადრო დაუბერავს ნიავი. ფოთლები ქვაფენილზე ცვივა და გოგონას ხალიჩად ეფინება ფეხქვეშ. მიდის გოგონა ყვითელ ხალიჩაზე, აქეთ-იქით აცეცებს თვალებს მოუსვენრად. უცებ ხეს ორი ფოთოლი მოსწყდა. ბზრიალ-ტრიალით წამოვიდა და იქვე, ქვაფენილზე დაეცა. გოგონა დაიხარა და აიღო ფოთლები. ორივე მოეწონა. ერთი იყო მწვანე, ნორჩი, მეორეს კი ყვითელი ფერი შერეოდა. მაინც ორივე ხიბლავდა თვალს.

ასეა ცხოვრებაშიც: ახალგაზრდა ლამაზია, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, ხოლო მოხუცი — სახეშეცვლილი, თმაშევერცხლილი, დაღლილი. ორივე კი თავისებურად ლამაზია, როგორც ლამაზია შემოდგომის ორი, სხვადასხვა ფერის ფოთოლი.

**დათო ოქრუაშვილი,**

თბილისი, 140-ე საშუალო სკოლა, VII კლასი.



ლუარსაბი და დარეჯანი.

ცირა კობერიძე, 124-ე საშუალო სკოლა, V კლასი.



კ. კურბატოვი

მხატვარი
გივი ნონიკაშვილი

# გენერალი

ფაბრიკის მეპატრონის, ენგელსის, სამსართულიან სახლს თითქმის მთელი ბარმენი იცნობდა. მთელმა ქალაქმა იცოდა, როგორ ცხოვრობდნენ ამ წარჩინებულ სახლში, რა მიირთვეს გუშინ სადილად, როგორი იყო ბრილიანტისთვლიანი საკინძი, სახლის პატრონს რომ დაეკარგა, ან რა ძვირფასი კაბა შეიკერა ახლახან დიასახლისმა.

ლაღად და მდიდრულად ცხოვრობდა ფაბრიკის მეპატრონე. მხოლოდ ის აწუხებდა, ვაჟი რომ არ ჰყავდა.

როდესაც ვაჟი შეეძინა, მამამ გულითადი მადლობა შესწირა მაღალ ღმერთს, რომელმაც მემკვიდრე აჩუქა. ახალშობილს მამის სახელი — ფრიდრიხი დაარქვეს. მამა დიდ იმედებს ამყარებდა შვილზე, მაგრამ აი, წამოიზარდა ბიჭი და ქალაქში ხმა გავრცელდა, ენგელსის ვაჟი რელიგიას უნდობლად უყურებსო, მამას უმტკიცებს, ყველა ადამიანს — მდიდარს და ღარიბს, ერთნაირი უფლებები აქვსო. ის კი არა, იმასაც ამბობდნენ, არ სურს, ფაბრიკის მეპატრონე გახდესო.

— როგორ, ფაბრიკის პატრონის ვაჟი უარს ამბობს გახდეს ფაბრიკის მეპატრონე? — შეძრწუნდნენ ბარმენის მცხოვრებლები, — ნამდვილად ჭკუაზე შემცდარაო.

ფაბრიკის პატრონის ვაჟი კი გატაცებული იყო ლიტერატურით, მუსიკით, ფერწერით, ისტორიით, ფილოსოფიით... მან იმდენი რამ იცოდა, ამხანაგები ისე უყურებდნენ, როგორც საოცრებას, ის კი წინანდებურად უბრალო და თავმდაბალი იყო. უყვარდა მოძრავი თამაშები, ერთგული მეგობრები, მნიშვნელობას არ აძლევდა იმას, მდიდრები იყვნენ თუ ღარიბები. თავის თანატოლებთან ფეხბურთს თამაშობდა.

— ფრედ! — გასძახებდნენ მეგობრები, — აქეთ გამოსტყორცნე!

— მე სერიოზულად მაწუხებს შენი გართობა და ნაცნობები, — საყვედურობდა მამა. — შენი გონების პატრონი ბევრს მიაღწევს. შეგიძლია მნიშვნელოვნად გაზარდო ჩვენი სიმდიდრე, თუ უღირს ადამიანებთან მეგობრობას შეწყვეტ და ჩვენს გამოცდილებას გადაიღებ. ვერ გამიგია, რა სიბრიყვეა ბურთის დევნა. დარწმუნებული ვარ, თქვენი სულელური თამაში ვერასოდეს ვერ ჰპოვებს აღიარებას.

მაგრამ უფროსი ფრიდრიხ ენგელსი შეცდა. განვლო რამდენიმე ათეულმა წელმა და ფეხბურთი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ პოპულარულ თამაშად გადაიქცა, განსაკუთრებით ინგლისში, სადაც ბოლო წლებში უმცროსი ფრიდრიხ ენგელსი ცხოვრობდა.

ფრიდრიხ ენგელსი მეცნიერი კომუნისტი გახდა. თავის მეგობარ კარლ მარქსთან ერთად სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს მუშათა მოძრაობას. მებრძოლი და ურყევი ხასიათის გამო კარლ მარქსის ოჯახში მას გენერალი შეარქვეს.

ფრიდრიხ ენგელსმა, როგორც ჭეშმარიტმა კომუნისტმა, მთელი თავისი სიცოცხლე ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა.

ერთხელ, 1892 წლის გაზაფხულზე, როცა უკვე სამოცდაათ წელს გადააბიჯა, ერთმა უმნიშვნელო ამბავმა ცხადად მოაგონა მამისეული ოჯახი, მამასთან კამათი ფეხბურთის თაობაზე.

თავის წლოვანებასთან შედარებით საშური აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ ძალ-ღონე ძველებურად აღარ მოსდევდა. განსაკუთრებით მწვავედ განიცდიდა მხედველობის დაქვეითებას, რაც დაძაბულმა მუშაობამ გამოიწვია. თითქმის ათი წელი იყო, რაც მარქსი გარდაიცვალა და მთელი ამ ხნის მანძილზე მას უხდებოდა მეგობრის არქივის ძირფესვიანად გადასინჯვა, მისი მთავარი წიგნის — „კაპიტალის" — დასრულება. მარქსის სიკვდილის შემდეგ მისმა მტრებმა ბრძოლა გააჩაღეს კომუნიზმის მოძღვრების წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, არავითარი წიგნი „კაპიტალის" სახელწოდებით არ არსებობსო. ენგელსმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაესრულებინა მეგობრის წიგნი. მარქსის ნაჩქარევი, წვრილი ხელნაწერისა და აღნიშვნების გარჩევა მხოლოდ მას შეეძლო.

ექიმები ამბობდნენ, თუ ენგელსი წინანდებურად დიდხანს იჯდება საწერ მაგიდასთან და იშვიათად იქნება სუფთა ჰაერზე, შეიძლება სრულიად დაჰკარგოს მხედველობაო, ამიტომ დღის მეორე ნახევარში ყოველთვის სასეირნოდ გადიოდა ხოლმე.

1892 წლის გაზაფხულის ერთ თბილ დღეს ენგელსი სეირნობის დროს სკვერში მერხზე ჩამოჯდა. ხეივანში ამაყად დასეირნობდნენ მდიდრულად ჩაცმული ბატონები და ქალბატონები. წარჩინებული ოჯახის გოგონები პაწაწინა ფერად-ფერადი ქოლგების ქვეშ ემალებოდნენ მზეს... თეთრ ქათქათა პერანგებში გამოწყობილი ბიჭუნები კოხტად უკრავდნენ თავს გოგონებს. ოდნავ მოშორებით პატარა მინდორზე კი ღარიბად ჩაცმული ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. ენგელსს გაახსენდა თანატოლები, რომლებთანაც ოდესღაც ფეხბურთი უთამაშია.

სკვერის ხეივანში ახალი მოსეირნენი შემოვიდნენ. მაღალი მამაკაცი აღნაგობითა და მედიდური შე-

სახედაობით ლორდს წააგავდა. მისი მეუღლე, საშუალო ტანის ქალი, ქმარს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა, თან ვაჟიშვილი ახლდათ. მშობლები ნაცნობთან საუბარში გაერთნენ, ფეხბურთის თამაშით მოხიბლული ბიჭი კი გაზონის ნაპირას იდგა და ერთი სული ჰქონდა თამაშში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ რა ექნა თეთრი პერანგისათვის, გაწკეპილი შარვლისა და საუკეთესო მაღაზიიდან მოტანილი ლაქის ძვირფასი ფეხსაცმელებისათვის? უცებ ბურთი ჰაერში აიჭრა, მერე დაეცა და პირდაპირ ფეხებთან მიუგორდა. ბიჭმა ახლა კი ვეღარ შეიკავა თავი, ბურთს ფეხი გაჰკრა და დაედევნა.

— დასცხე! — დაუძახეს ბიჭს, — სწრაფად! — ერთმა თმააბურძგნილმა ბიჭუნამ გვერდი გაჰკრა, ბურთი აართვა და თვითონ დაარტყა კარში, მაგრამ ვერ გაიტანა.

— ეჰ, ბედოვლათი! — ჩაილაპარაკა ენგელსმა.

გამხდარი ბიჭი, რომელსაც ბურთი წაართვეს, წაიქცა. ზემოდან ორი მოთამაშე დაეცა.

— როგორ მიბედავთ! — დაიყვირა მან, გაცეცხლებული წამოხტა და მუშტები გააფთრებით ჩასცხო დამფრთხალ ბიჭებს. თმააბურძგნილ ბიჭს ცხვირიდან სისხლი წასკდა.

არც ერთი ბიჭი არ ცდილა, მოჩხუბარისათვის სამაგიერო მიეზღო, მხოლოდ სახეს იფარავდნენ ხელით და გამწარებულები ქშინავდნენ.

— ასე როგორ შეიძლება! — აღშფოთდა ენგელსი, — რას შვრები, უგვანო ბიჭო! — მერხიდან წამოდგა და ბიჭუნებისაკენ გაემართა.

მოჩხუბრებთან ერთდროულად მივიდნენ ენგელსი, ლორდი და მასთან მოსაუბრე ბულდოგისყბიანი კაცი.

მამაკაცმა, რომელიც ლორდის გულის მოგებას ცდილობდა, ჯოხი მოიქნია და თმააბურძგნილ ბიჭს ზურგში ჩასცხო.

— ვაიმე! — შეჰყვირა ბიჭუნამ და გაქცევა დააპირა.

— შეჩერდი! — უბრძანა მას ლორდმა. ბიჭი დაემორჩილა. ბულდოგისყბიანი სქელი მამაკაცი თან ლორდს მისჩერებოდა, თან ბიჭს ჯოხით სცემდა.

— ვაი, ვაი, ვაი! — წიოდა იგი და ადგილიდან ვერ იძროდა.

— ახლავე შეწყვიტეთ, სერ! — მკაფიოდ წარმოთქვა ენგელსმა და ხელი მოქნეულ ჯოხს წაატანა, — როგორ არა გრცხვენიათ!

— თქვენ დაინახეთ, რა ქნა ამ გარეწარმა? — აიფოფრა მამაკაცი, — ვინ მისცა აქ ბურთის თამაშის უფლება?! მე მას მაგრადაც მივბეგვავ და პოლიციაშიც წავაბრძანებ.

— ვერაფერსაც ვერ მიბეგვავთ, — დინჯად მიუგო ენგელსმა, — და ვერსადაც ვერ წაიყვანთ, რადგან არაფერი დაუშავებია. თვითონ ვუყურებდი, თამაშის წესები არავის დაურღვევია.

— როგორ არ დაურღვევია, — ამოისლუკუნა ლაქისფეხსაცმლებიანმა ბიჭმა, — მე მინდოდა ბურთისთვის დამერტყა, მან კი...

— მაგრამ, გეთაყვა, მასაც უნდოდა დაერტყა, — თქვა ენგელსმა, — ფეხბურთი არ სცნობს არც მდიდრების და არც ღარიბების უპირატესობას.

— თქვენ ვინა ბრძანდებით, სერ? — გაჯავრებით იკითხა ლორდმა.

— თქვენ გაინტერესებთ, ვინა ვარ? — გაეღიმა ენგელსს, — გენერალი. დაკმაყოფილდით? მაქვს პატივი! — და შლაპას თითებით შეეხო.

— ბიჭიკო, წამოდი ჩემთან, — მიმართა ენგელსმა თმააბურძგნილ ბიჭუნას და სკვერიდან გაიყვანა.

— ვერ გამიგია, — ელაპარაკებოდა გზადაგზა, — თქვენ შვიდნი იყავით, შვიდი ძლიერი და ჯანიანი ბიჭი, მაგრამ მაინც ფარ-ხმალი დაყარეთ. რატომ არ დაუსხლტი ხელიდან, შიშისაგან თითქოს მიწას მიეჯაჭვე. რა გქვია?

— რობინი, — უპასუხა სლუკუნით ბიჭმა.

— შენ რა, რობინ, მშიშარა ხარ?

— მე და მშიშარა? სულაც არა, — იწყინა ბიჭმა და ხელი გამოსტაცა. — განა თქვენ არ იცით, ჩვენში ყოველთვის და ყველაფერში ვინ აღმოჩნდება ხოლმე მართალი, და ვინ მტყუანი?

— შენ მხედველობაში გყავს მდიდრები და ღარიბები?

— აბა, მეტი ვინ.

— ცხვირსახოცი მიიდე ცხვირთან, — უთხრა ენგელსმა, — აი, ასე. და გახსოვდეს, რომ ღარიბი ხალხი, პროლეტარიატი, რომელიც მუდამ შრომობს და არაფერი აქვს, ათასჯერ მეტია, ვიდრე მდიდრები. პროლეტარები თუ გაერთიანდებიან, მდიდრები რაც უნდა ძლიერები იყვნენ, მაინც დამარცხდებიან. წარმოიდგინე, შვიდივე რომ ერთმანეთს მხარში ამოსდგომოდით, იმ ხელჯოხიან კაცსაც შეეშინდებოდა თქვენი.

— მთელი თქვენი სიცოცხლე ალბათ ბრძოლაში გაატარეთ, ბატონო გენერალო, მუდამ იმარჯვებდით, არა?

— არა, საუბედუროდ, ყოველთვის არა, — ამოიოხრა ენგელსმა. — გაიქეცი სახლში, ბიჭიკო, და გახსოვდეს, მომავალში არაფერს შეუშინდე.

დინჯად გაუყვა გზას თავისი სახლისაკენ ენგელსი, თან წარსულს იგონებდა. რაზეც არ უნდა ეფიქრა, რა საქმეც არ უნდა ეკეთებინა, ფიქრებით მუდამ მარქსთან იყო. მართალია, მეგობარი გარდაიცვალა, მაგრამ მაინც ერთად რჩებოდნენ. მოაგონდა ის დრო, როცა კაპიტალისტი მამის წინაშეც კი დათმობაზე წავიდა და საკმაო ხანს უძღვებოდა ერთ-ერთ საქსოვ ფაბრიკას, მარქსისა და მისი მრავალშვილიანი ოჯახის დასახმარებლად სახსრები რომ ჰქონოდა. ენგელსს ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა, მარქსი ვერ შეძლებდა თავისი გენიალური შრომების შექმნას, მისი ოჯახი კი შიმშილისაგან დაიღუპებოდა.

„მძიმე წლები იყო, გენერალო, — ფიქრობდა თავისი სახლისაკენ მიმავალი ენგელსი, — ძალიან მძიმე...“

რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან საღამოს, ენგელსის ბინაზე უცნობი კაცი მივიდა. უხეში ფეხსაცმელებით შემოაბოტა ზღურბლთან დაფენილ ხალიჩაზე და თქვა:

— თუ შეიძლება, ბატონი ენგელსის ნახვა მინდოდა.

როცა კაბინეტის კარებში ენგელ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

სი გამოჩნდა, სტუმარმა ნაჩქარევად დაიწყო:

— მაპატიეთ. მე მოვედი, რათა თქვენი ცხვირსახოცი დაგიბრუნოთ. თანაც მინდა მადლობა გადაგიხადოთ ჩემი ვაჟის, რობინისთვის. თქვენ რომ არა...

— როგორ მომძებნეთ? — გაუკვირდა ენგელსს.

— როგორ ვერ მოგძებნიდით, — თქვა სტუმარმა, — ლონდონში არც ისე ბევრი ადამიანი იცავს ღარიბების ინტერესებს.

— შემობრძანდით, — ენგელსმა ფართოდ გააღო კაბინეტის კარი, — გთხოვთ.

— არ შემიძლია, მეჩქარება, — უარი თქვა სტუმარმა, — დილით ადრე უნდა ავდგე... ინებეთ თქვენი ცხვირსახოცი. ჩემმა ცოლმა გარეცხა და გააუთოვა. თანაც თქვა, ცხვირსახოცითაც კი ჩანს, ნამდვილად კეთილშობილი კაციაო. ჩვენს სახლში ცხვირსახოცი არასოდეს არ გვქონია.



— ესე იგი, არ შემობრძანდებით? — გაეღიმა ენგელსს. — ახლა ჩემთვის გასაგებია, თქვენი ვაჟიშვილი რობინი რატომაა ასეთი მშიშარა და მორიდებული, თქვენ გგვანებიათ. შემობრძანდით, მიამბეთ სად მუშაობთ, რას აკეთებთ.

სტუმარი კაბინეტში შევიდა, მაგრამ დაჯდომაზე უარი თქვა, ენგელსს თვითონაც ფეხზე მდგომს მოუხდა მასთან საუბარი.

სტუმარმა ნაღვლიანად უამბო, რომ დღე-ღამეში თორმეტ საათს მუშაობს გაზის ქარხანაში და ამ მძიმე, მომქანცველ შრომაში რაღაც გროშებს იღებს. რობინის გარდა კიდევ სამი ბავშვი ჰყავთ და ყველანი შიმშილობენ და მთელი ზამთარი სიცივისაგან კანკალებენ.

— როგორ იბრძვით თქვენი უფლებებისათვის? — შეეკითხა ენგელსი.

— რის ბრძოლა, მეხუმრებით, ბატონო ენგელს?! იმ წუთში დამითხოვენ სამუშაოდან, ან ციხეში მიკრავენ თავს. თქვენ გინდათ ჩემი ბავშვები შიმშილით დაიხოცონ?

— არა, მე არ მინდა, რომ თქვენი ბავშვები შიმშილით დაიხოცონ, არც თქვენი და არც ვისიმე. ჩვენ ამისათვის ვიბრძვით და მომავალშიც ვიბრძოლებთ. კვირას, 4 მაისს, თქვენ დასვენების დღე გაქვთ. დილით მობრძანდით ჰაიდ-პარკში.

— სად მოვიდე? — გაიკვირვა სტუმარმა, — რასა ბრძანებთ. ამბობენ, იქ მუშათა დემონსტრაცია იქნებაო. მე მეამბოხე არა ვარ, პატარა კაცი ვარ, მშვიდი, წყნარი.

— უსათუოდ მობრძანდით, — უთხრა ენგელსმა გამომშვიდობებისას, — მოიკრიბეთ გამბედაობა და მობრძანდით.

1892 წლის მაისის ის კვირადღე ენგელსმა ყველაზე ბედნიერ დღედ ჩათვალა თავის ცხოვრებაში. ამ დღეს ასეულათასობით მუშა გამოვიდა ლონდონის ქუჩებში. ყველა ქალაქის ცენტრისაკენ — ჰაიდ-პარკისაკენ მიეშურებოდა.

ფრიდრიხ ენგელსი, თითქოს ორმოცი წლით გაახალგაზრდავდაო, თავაწეული ამაყად მიუძღოდა მუშათა კოლონას. მკერდს წითელი მი-

არჩილ ბეთანელი,
პროფესორი



## სარკმელი კოსმოსში

# მთავარი კონსტრუქტორი

იგი წლეულს 80 წლისა უნდა შესრულებულიყო — დიდი საბჭოთა მეცნიერი, ინჟინერი, პირველი კოსმოსური ხომალდების მთავარი კონსტრუქტორი, პრაქტიკული კოსმონავტიკის აღიარებული ფუძემდებელი, აკადემიკოსი სერგეი კოროლიოვი... მეცნიერი, ვისი სახელიც, საბჭოური კოსმოსური რაკეტების ძრავების მთავარი კონსტრუქტორის, აკადემიკოს ვ. გლუშკოს აზრით, თეორიული კოსმონავტიკის ფუძემდებლის კ. ციოლკოვსკის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია კოსმონავტიკის ისტორიაში.

აკადემიკოს ს. კოროლიოვის სახელს უკავშირდება ჩვენი ეპოქის არაერთი უდიდესი მოვლენა: კაცობრიობის ისტორიაში პირველად, საბჭოთა კავშირში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის გაშვება 1957 წლის 4 ოქტომბერს; ავტომატური კოსმოსური სადგურების საშუალებით მთვარემდე, ვენერამდე და მარსამდე მიღწევა; მსოფლიოში პირველად ადამიანის გასვლა კოსმოსურ ორბიტაზე, მძლავრი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შექმნა, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

ს. კოროლიოვი დაიბადა ჟიტომირში, მასწავლებლის ოჯახში. დედა იგონებდა, რომ პატარა სერიოჟას ძალიან უყვარდა ზღაპრები, განსაკუთრებით, მფრინავ ხალიჩაზე. უცნაური კითხვების დასმა იცოდა, ერთთავად მნათობებს აკვირდებოდა თურმე. ერთხელ დედისათვის უკითხავს, რატომაა მთვარე ასეთი ჭუჭყიანი და რაღაც წინწკლებით დაფარულიო?..

ამ შეკითხვის შემდეგ კიდევ ბევრი წელი გავიდა, ვიდრე დაკვირვებული, უცნაური ბიჭის მიერ შექმნილი კოსმოსური ავტომატური სადგური მთვარეს მიაღწევდა...

მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ სერიოჟა ნეჟინში, თავის მშობლებთან წაიყვანა. ბაბუასთან და ბებიასთან ცხოვრების წლები კოროლიოვის ბავშვობის უბედნიერესი წლებია. ბაბუამ წერა-კითხვა შეასწავლა. ხუთი წლისა იყო სერიოჟა, როცა ქალაქში გაკრულმა მხიარულმა აფიშებმა ნეჟინელებს საოცარი ამბავი აუწყა — ბაზრის მოედნის თავზე ნამდვილი თვითმფრინავით გადაიფრენდა მფრინავი სერგეი უტოჩკინი. ჩიტივით ადამიანის ფრენა?.. — დაეჭვებული ხალხი ღელავდა, სანახაობაზე დასასწრები ბილეთებისთვის ფულს არ იშურებდა, მოედნისკენ გრძელ ნაკადად მიიჩქაროდა. ამ ნაკადში იყვნენ ბებია, ბაბუა და ბაბუას მხრებზე შესკუპული პატარა სერიოჟაც. ეს იყო სერგეი კოროლიოვის ბავშვობის ერთ-ერთი უძლიერესი შთაბეჭდილება, რომელმაც შემდეგში უკვე მთელი სერიოზულობით წარმართა მისი თავდაპირველი, ბალღური ინტერესი.

11 წლის სერიოჟა კვლავ დედასთანაა. იგი მასთან და მამობილთან — ინჟინერ გრიგოლ ბალანინთან ერთად საცხოვრებლად ოდესაში გადადის. ბიჭი ლექსებს წერს. დედა განსაკუთრებული სიმპათიით იხსენებდა მის ლექსს „რუსეთი". მაგრამ მალე სერიოჟა ახალმა საქმემ გაიტაცა — გემების მოდელების შექმნა დაიწყო, ლექსების ალბომი კი... დაწვა. მაგრამ გემები გემებად, ცა და ავიაცია კი კვლავაც რჩებოდა მისი ოცნებების მთავარ საგნად.

ჯერ ისევ ყმაწვილს წყვილი ზეწარი უთხოვია დედისათვის, გადა-

---

ხაკი უმშვენებდა. მას გვერდით მიჰყვებოდა მარქსის ქალიშვილი ელეონორა. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მარქსის ქალიშვილი საპატიმროდან გამოვიდა, სადაც მუშათა დემონსტრაციის მოწყობისათვის ჩასვეს.

— თქვენ შეგიძლიათ ათასჯერ დაგვაპატიმროთ, მაგრამ ჩვენ მაინც მივაღწევთ იმას, რომ მუშებს რვასაათიანი სამუშაო დღე და ადამიანური ცხოვრება ჰქონდეთ! — განუცხადა მან პოლიციელებს.

ჰაიდ-პარკის დიდი მოედანი ხალხით გაიჭედა. შვიდი ურიკა, რომლებიც ტრიბუნად ექციათ, მუშათა მოძრაობის ლიდერებს დაეკავებინათ. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ენგელსი იდგა. მარქსის ქალიშვილი, ელეონორა ენგელსს გვერდში ამოსდგომოდა და აღელვებული ათვალიერებდა მოედანზე თავმოყრილ მუშებს.

ორატორები ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ. ისინი მუშებს ერთიანობისაკენ მოუწოდებდნენ.

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — ამ მოწოდებით ამთავრებდა თითოეული მათგანი სიტყვას.

პოლიციელები დაბნეულნი მისჩერებოდნენ ერთმანეთს და არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველა რომ დაეპატიმრებინათ, რაც ლონდონში საპატიმროები იყო, არ ეყოფოდათ.

— შეხედე, — უთხრა ენგელსმა ელეონორას, — ხედავ იმ მუშას ძველ შლაპაში, აი, იმას, თვალებს აქეთიქით რომ აცეცებს? გვერდით ბიჭუნა უდგას. ისინი არიან. გახსოვს? მე მათზე გიყვებოდი. ის მაინც მოვიდა და ბიჭიც მოიყვანა. რადგან ასეთი

წყვეტილი ჰქონია, ზეწრები ბოლოებით ხელ-ფეხზე დაემაგრებინა და ამგვარი ფრთების საშუალებით „ჩაფრენილიყო“ ელექტროსადგურის მაღალი მილიდან, მაგრამ თავისი თხოვნით დედა ისე შეუშინებია, რომ იძულებული გამხდარა, გადა-



აკადემიკოსი სერგეი კოროლიოვი

წყვეტილებაზე ხელი აეღო.

ოდესის მახლობლად სამხედრო საავიაციო რაზმი ყოფილა განლაგებული. სერიოჟა საათობით უცქერდა მის თვითმფრინავებს. რაზმის უფროსმა შეამჩნია დაინტერესებული ყმაწვილი და რაზმის ტერიტორიაზე შესვლის ნება დართო... სერიოჟამ საფუძვლიანად შეისწავლა საავიაციო მოტორი, მფრინავებმაკი, ამ საქმით გატაცება რომ შეამჩნიეს, ერთი-ორჯერ სავარჯიშო ფრენებშიც თან გაიყოლეს. ამ დროს ჩამოყალიბდა ავიაციისა და აერნაოსნობის ხელშემწყობი უკრაინისა და ყირიმის საზოგადოება. სერიოჟა მაშინ 16 წლისა იყო და მისი აქტიური წევრი გახდა. ავიაციის პროპაგანდის მიზნით იგი კითხულობდა ლექციებს, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობდა მსმენელთა შორის.

ს. კოროლიოვი ბავშვობიდანვე მტკიცე ხასიათის ყოფილა. ერთხელ, ნათესავ ქალ-ვაჟთან ერთად ნავით სეირნობის დროს, დაღუპვის საშიშროება შექმნიათ. მოსეირნეთაგან ცურვა მხოლოდ სერიოჟას სცოდნია. მას სასწრაფოდ მოუკრებია სიმხნევე, უყვირია — აბა, პანიკა არ იყოს და თუ მე დამიჯერებთ, ყველაფერი რიგზე იქნებაო... და ნავი უმოკლესი გზით წაუყვანია ნაპირისაკენ.

16 წლის სერიოჟა გატაცებით მონაწილეობს ფრენებში, ბევრს კითხულობს. მან ჯერ კიდევ მოსწავლეობისას დაიწყო საკუთარი კონსტრუქციის პლანერის დაპროექტება. საინჟინრო ხელოვნების დაუფლებაში ეხმარებოდნენ მამობილი და მისი მეგობრები. ასე რომ, არავის გაუოცებია, როცა ავიაციისა და აერნაოსნობის საზოგადოების სპეციალურმა კომისიამ მოიწონა 17 წლის სერიოჟას პროექტი და დაამტკიცა კიდეც.

ამავე წელს მან წარჩინებით დაამთავრა სკოლა და მშენებელი მუშის წოდებაც მიიღო. მაგრამ ცხოვრებისეული გზის არჩევის პრობლემა მისთვის არ დამდგარა, რადგან უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი — მხოლოდ და მხოლოდ ავიაცია!

ასე გახდა სერგეი კოროლიოვი ჯერ კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავიაციო განყოფილების, ხოლო შემდეგ მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის აერომექანიკის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტი. სადიპლომო პროექტი მან მოამზადა ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, აკადემიკოს ა. ტუპოლევის ხელმძღვანელობით, პარალელურად საფრენოსნო სკოლაში მფრინავის პროფესიას ეუფლებოდა. ამ პერიოდში იგი საპლანერო სპორტით იყო გატაცებული და, როგორც მფრინავი და კონსტრუქტორი, საპლანერო შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა.

აკადემიკოსი ვ. გლუშკო თავის მოგონებებში არაერთხელ უბრუნდება სერგეი კოროლიოვის თვისებებს — მამაცობას, გამჭრიახობას, მხნეობას, რომელსაც იგი იჩენდა სარაკეტო ძრავებით აღჭურვილი ექსპერიმენტული თვითმფრინავების საფრენოსნო გამოცდებში პირადი მონაწილეობის დროს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა საავიაციო მრეწველობის საკონსტრუქტორო ბიუროში. სწორედ აქ გაეცნო თეორიული კოსმონავტიკის ფუძემდებლის კ. ციოლ-

მშიშრებიც დაიძრნენ, მაშასადამე, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. გამარჯვება შორს აღარაა.

ენგელსმა დაიჭირა რობინის გამოხედვა და ხელი დაუქნია. ბიჭუნა მკვირცხლად გამოძვრა ხალხში და მხიარულად შესძახა:

— მამა მე მოვიყვანე, ბატონო ენგელს, მე! იცით, როგორ იქაჩებოდა?!



— ყოჩაღ, რობინ! მე მაშინვე შეგამჩნიე, რომ შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ, თუმცა, ფეხბურთს არც ისე კარგად თამაშობ. გინდა, ეშმაკო, მიტინგის შემდეგ ბურთი გავაგოროთ? როგორ ხასიათზე ხარ?

— რატომ მომატყუეთ, ბატონო ენგელს,— შესძახა ბიჭუნამ, — მე ყველაფერი გავიგე. თქვენ თურმე გენერალი არ ყოფილხართ, მაგრამ ჩვენ მაინც გენერალს დაგიძახებთ, მშრომელთა გენერალს...

თარგმნა რუსუდან ლილუაშვილმა

კოვსკის შრომებს, დაინტერესდა კოსმოსის ათვისების პრობლემით, დაიწყო მოღვაწეობა კოსმონავტიკის დარგში. ს. კოროლიოვმა ამ საქმის ენთუზიასტები შემოიკრიბა ირგვლივ და საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა რეაქტიული ძრაობის შემსწავლელი ჯგუფი. სწორედ ამ ჯგუფმა გამოიგონა და გამოსცადა პირველი საბჭოური რაკეტები.

1933 წელს, როცა ჩვენს ქვეყანაში დაარსდა მსოფლიოში პირველი სარაკეტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ს. კოროლიოვი მის მთავარ ინჟინრად დანიშნეს. ამ დროს იგი რაკეტებისა და რაკეტოპლანების შექმნაზე მუშაობდა. ხოლო დიდი სამამულო ომის წლებში მისი წინადადებით გამანადგურებელი თვითმფრინავები რეაქტიული დამაჩქარებლებით აღიჭურვა. კოროლიოვის ამ წინადადებამ განაპირობა ფრენის სიჩქარის საგრძნობი მომატება და გაზარდა საბჭოთა გამანადგურებლის ბრძოლისუნარიანობა.

1946 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირში დაიწყო რაკეტსამშენებლო მრეწველობის განვითარება, სერგეი კოროლიოვი რაკეტმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი გახდა. მან შექმნა მძლავრი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. აქედან დაიწყო მისი წარმატებები პრაქტიკული კოსმონავტიკის დაფუძნებისა და განვითარების დარგშიც, მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა დიდი არმია. დიდ სამუშაოებს ატარებდა ს. კოროლიოვის წინადადებით შექმნილი მთავარ კონსტრუქტორთა საბჭოც, რომელსაც იგი თავად ედგა სათავეში.

ასეთი იყო მისი ცხოვრების გზა. დიახ, სწორედ ბავშვობის წლებში ჩაეყარა საფუძველი იმ მხურვალე მეცნიერულ ინტერესსა და პროფესიულ მისწრაფებებს, რომლებმაც შემდგომში ასეთი მასშტაბის მეცნიერი და ინჟინერი, პრაქტიკული კოსმონავტიკის აღიარებული ფუძემდებელი ჩამოაყალიბა.

# დაუვიწყარი დღეები

**გიორგი გაბუნია,**
ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

70 წლის წინათ, 1917 წლის გაზაფხულის დამდეგს, საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა, რუსეთის იმპერიის პროგრესულ ძალებთან ერთად, აღტაცებით შეეგება პეტერბურგიდან მიღებულ სასიხარულო ცნობას თვითმპყრობელობის დამხობისა და თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შესახებ. საქართველოს თითქმის ყველა სამრეწველო ცენტრში, დაბა-სოფელსა და დასახლებულ პუნქტში 1917 წლის მარტის პირველსავე რიცხვებში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი კრებები, საზეიმო მიტინგები და რევოლუციური მანიფესტაციები. ორატორები ფართო მასებს გასაგებად განუმარტავდნენ მომხდარი გრანდიოზული მოვლენის მნიშვნელობას, მგზნებარებით მოუწოდებდნენ ახალი ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

ამ საერთო-სახალხო აღმაფრენას იმთავითვე გულმხურვალედ გამოეხმაურა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობაც. ქვეყნის მოზარდი თაობის ეს მოწინავე ნაწილი ცარიზმის აშკარად რუსიფიკატორული, რეაქციული საგანმანათლებლო პოლიტიკის მარწუხებში იყო მოქცეული, ამიტომ იგი ყველაზე მეტად განიცდიდა როგორც სოციალურ, ასევე ეროვნულ ჩაგვრას. „მთავრობაძის გარდაცვალების“ მაუწყებელი ცნობის მიღებისთანავე ეს ყმაწვილები დაუყოვნებლივ გამოვიდნენ ქუჩაში და აქტიურად დაუჭირეს მხარი მოზეიმე მშრომელ ხალხს, რითაც თვალნათლივ დაადასტურეს რევოლუციის ინტერესებისადმი თავიანთი ერთგულება.

1917 წლის 3 მარტს (თარიღები მოტანილია ძველი სტილით—გ. გ.), დილით საზეიმო მღელვარებამ მოიცვა ქალაქი ჭიათურა. დიდი თუ პატარა ერთმანეთს ულოცავდა ძველი წეს-წყობილების დამხობასა და ნანატრი თავისუფლების მოპოვებას. ზეიმობდნენ ჭიათურელი მოსწავლეებიც. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „პირველი ნაბიჯის“ კორესპონდენტი მკითხველს აუწყებდა: „...დილის ცხრა საათზე ადგილობრივი სასწავლებლისაკენ გავიარე. ეზოში მოწაფეებს გაკვეთილების დროს დასვენება ქონდათ, სასწავლებლის შენობის აივნები სავსე იყო მოწაფეებით და დაუსრულებელი მხიარული ყიჟინა ქონდათ, რაშიაც მასწავლებლებიც ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდნენ...“ 4 მარტს ქუთაისის რეალური სასწავლებლის, კლასიკური გიმნაზიის, წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლისა და სხვა სასწავლო დაწესებულებათა აღსაზრდელების ინიციატივით, ქალაქის ცენტრში მოეწყო გრანდიოზული მანიფესტაცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მშრომელებიც. იმავე დღეებში გაზეთმა „ერთობამ“ გამოაქვეყნა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის მისასალმებელი განცხადება: „დღეს, როდესაც მომხიბლავი დილის განთიადი ძალზე გვიზიდავს ნათელი დღის შესახვედრად, აღფრთოვანებით გიძღვნით სალამს თქვენ... შეუპოვარნო მებრძოლნო. დაჰკრა რუსეთის დემოკრატიის გამარჯვების ჟამმა და აღსრულდა ის, რასაც თქვენ ესწრაფვოდით. გწამდეთ, რომ თქვენი მოღვაწეობა წარუშლელ კვალს დასტოვებს თქვენი თანამედროვე ახალგაზრდების გულში...“

1917 წლის 6 მარტს, დილის 10 საათზე, ფოთის ქუჩები შესძრა მომხდარი რევოლუციური გარდაქმნებით აღფრთოვანებულ მოსწავლეთა მძლავრმა ყიჟინამ. ორგანიზებულად ჩატარებული მანიფესტაციის შემდეგ ახალგაზრდობამ თავი მოიყარა ქალაქის ტაძრის (სობორის) ეზოში. იქვე გაიმართა მიტინგი, რომელზეც მგზნებარე რევოლუციური სიტყვები წარმოთქვეს მოწინავე მოწაფეებმა. ამავე დღეს ხონის (ამჟამად ქ. წულუკიძე) მოსწავლე ახალგაზრდობამ მოაწყო მასობრივი დემონსტრაცია. ბაღში სახელდახელოდ გამართულ კრებაზე ნორჩმა ორატორებმა დაახასიათეს არსებული ვითარება და წინსვლა უსურვეს რუსეთის დიდ რევოლუციას. მეორე დღეს ხონელმა მოსწავლეებმა გვირგვინებით შეამკეს ალექსანდრე წულუკიძის საფლავი, ამაღელვებელი სიტყვები წარმოთქვეს რევოლუციის რაინდის სამარესთან. დაახლოებით იმავე პერიოდში ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი სოფელ ბანძაში. აი, როგორ იგონებს ამ მოვლენას მიტინგის ერთ-ერთი მონაწილე ბალათურია:



„მაშინ ბანძის სამკლასიანი სკოლის მოსწავლე ვიყავი. მიტინგი ეკლესიის ეზოში მოეწყო. მეფის ჩამოგდებაზე, სხვებთან ერთად, ილაპარაკა ჩვენი სკოლის უფროსმა ანტონ კეკელიამ. სიტყვებით გამოვიდნენ მასწავლებლები: მ. კეკელია და ი. ფაღავა. ამ დღეს პირველად გავიგე ლენინის სახელი“.

1917 წლის 7 მარტი. მანიფესტაცია მოაწყვეს ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა, აგრეთვე, სოფელ კულაშის სასწავლო დაწესებულების პედაგოგ-აღსაზრდელებმა. საზეიმო მსვლელობის შემდეგ მანიფესტაციის მონაწილენი შეიკრიბნენ ჯვარცხმის მინდორზე, სადაც ახალგაზრდებს რევოლუციური სიტყვებით მიმართეს მუშა ვ. სტურუამ, მასწავლებელმა ვ. ძიძიგურმა და ერთმა უცნობმა სტუდენტმა.

იმავე დღეებში რომანოვთა დინასტიის დამხობის მაუწყებელ ცნობას გულწრფელი სიხარულით გამოეხმაურნენ სამეგრელოს სოფელ ჭოღას ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეები. აი, რას წერს თავის მოგონებაში ამასთან დაკავშირებით ხსენებული სკოლის ყოფილი მოსწავლე, ძველი ბოლშევიკი გიორგი ციალაძე-წახნაგია:

„თებერვლის უღიმღამო დღე იყო. სკოლაში საღვთო სჯულის გაკვეთილი მიდიოდა. მოწაფეთა უმრავლესობა თვლემდა.. უცებ ეზოში ყრიამული გაისმა, ცოტა ხანიც და მთელი სკოლა აგუგუნდა. მღვდელმა სვიმონმა პირჯვარი გადაიწერა და ეზოში გავარდა. ეზო ხალხით იყო სავსე... მამაკაცები ყაბალახებს იხდიდნენ და ჰაერში ისროდნენ: „გაუმარჯოს რევოლუციას! ძირს ნიკოია! გაუმარჯოს თავისუფლებას!“. მთელი სკოლის მოწაფეობა ეზოში გამოვარდა. სოფელ ჭოღას კანცელარიიდან იმპერატორ ნიკოლოზ მეორის პორტრეტი გამოჰქონდათ. „დავხვრიტოთ ნიკოია! დავხვრიტოთ!“ — დაიგრიალეს ახალგაზრდებმა და თხმელის ძირას მიყუდებულ სურათს შემოეხვივნენ...“ რამდენიმე წუთის შემდეგ ტყვიით შუბლგახვრეტილი „ხელმწიფე-იმპერატორის“ პორტრეტი მოზეიმე ხალხს ფეხით გადაუთელავს.

1917 წლის 9 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე, ხაშურში რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომლის დროსაც, რკინიგზის დეპოს მუშათა ორკესტრთან ერთად, რევოლუციურ მარშებს ვაჟთა გიმნაზიის სასულე ორკესტრიც უკრავდა. დამთავრდა თუ არა მიტინგი, ხაშურელმა გიმნაზიელებმა, ჯარისკაცებმა და მოქალაქეებმა წითელი დროშებითა და შეძახილებით „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ მშვიდობიანი მანიფესტაცია მოაწყვეს.

1917 წლის 10 მარტს თბილისის მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა, პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგთა მხარდაჭერითა და აქტიური მონაწილეობით, ქალაქის ქუჩებში გამოეფინა. ლოზუნგებით — „უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ძველი რეჟიმისადმი მორჩილება“, — პროცესია დაიძრა ცენტრალური მოედნისაკენ. ახალგაზრდა დემონსტრანტებს გზად შეუერთდნენ სამხედრო მეავტომობილეთა კოლონა და ცხენოსანთა რაზმი. მოედანზე შედგა დიდი მიტინგი, რომელმაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ცარიზმის დამხობით გამოწვეული საყოველთაო სიხარული. „...ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, — წერდა გაზეთი „საქართველო“ მეორე დღეს. — მოედანი, გოლოვინის პროსპექტი და ახლო-მახლო ქუჩები წითელი ბაირაღების ტყეს წარმოადგენდა... მიტინგმა დიდხანს გასტანა“. იმავე დღეს დიდი მიტინგი გაიმართა დაბა ჩხარშიც.

1917 წლის 12 მარტს მძლავრი სახალხო მიტინგი მოეწყო დიდ ჯიხაიშში. როგორც გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა. იქაური მოწაფეები „...მიტინგზე მივიდნენ მარსელიოზას სიმღერით და წითელი დროშებით, რომლებზედაც შესაფერისი

წარწერები იყო“. 15 მარტს ხიდისთავის მოსწავლე ახალგაზრდობამ საზეიმო მარშით გაიარა სოფლის მოედანზე, ხოლო შემდეგ, თანამოაზრე აღმზრდელებთან ერთად, საბრძოლო სიმღერებით, ალისფერი ალმებითა და შეძახილებით — „გაუმარჯოს რევოლუციას!“ — მწყობრი ნაბიჯით გასწია ბასილეთის ორკლასიანი სასწავლებლისაკენ. რაც შეეხება სამეგრელოს სოფელ კიწიის დაწყებითი სკოლის მოწინავე აღსაზრდელებს, მათ ითავეს ცარიზმის საწინააღმდეგო გამოსვლის ორგანიზება.

მოგვითხრობს ამ გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი ი. ჯაიანი: „...დემონსტრაციაზე გამოვედით ყველა სკოლის ახალგაზრდების ნაწილი, მასწავლებლებთან და ადგილობრივი გლეხობის წარმომადგენლებთან ერთად. ყველა კლასში ჩამოვხსენით ნიკოლოზ მეორის სურათები, დავაგროვეთ ღობის სარები, ზედ ჩამოვაცვით მეფის სურათები და ასე მოვიარეთ მთელი სოფელი, თან გავიძახოდით: „ძირს ნიკოლოზ მეორე“, „ძირს ომი“, „გაუმარჯოს რევოლუციას“. დემონსტრაცია მოვაწყვეთ მოულოდნელად, სკოლის ხელმძღვანელობის უნებართვოდ, რომელიც პეტერბურგში მომხდარ რევოლუციაზე მიღებულ ცნობას საიდუმლოდ ინახავდა“.

15-18 მარტს მოწაფეთა აქტიური მონაწილეობით მანიფესტაციები, საზეიმო კრებები და დღესასწაულები გაიმართა ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, გორში, შემოქმედში, დიდ ლილოში, სამიქაოში, ონტოფოში, გულუხეთში, სეფიეთში და სხვაგან.

ასე რომ, საქართველოში მოსწავლე ახალგაზრდობამ 1917 წლის გაზაფხულის პირველსავე თვეს, მშრომელებთან ერთად, გულმხურვალედ აღნიშნა მეფის მთავრობის დამხობა, რუსეთის მეორე, თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება, რითაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაამტკიცა თავისი მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა, ბოლშევიკური იდეალებისადმი თავისი ერთგულება.




ლახტის მოედანი არის წრე, რომლის ცენტრიდან შემოხაზულია 2,5 და 5 მეტრის რადიუსის წრეხაზები. მოედანი შიგა (ლახტის), გარე და მცირე წრეებისაგან შედგება. თამაშისათვის საჭიროა ტილოს ან ტყავის 5 ლახტი ანუ სარტყელი (ქამარი). თითოეულ გუნდში 7 მოთამაშეა, მათგან 2 — სათადარიგოა.

თითოეული ლახტი გაშლილად იდება ლახტის ხაზზე და ერთი ბოლოთი წრის გარე კიდეს ეხება.

კენჭისყრით ერთ-ერთ გუნდს მოუწევს ლახტის წრეში ჩადგომა. ყოველი მოთამაშე დადგება ლახტთან, მათი მოწინააღმდეგენი ითამაშებენ „გარეთ“. მსაჯის ნიშანზე იწყება თამაში. წრეში ჩამდგარნი იცავენ ლახტებს, მოწინააღმდეგენი კი ცდილობენ ამ ლახტების გატაცებას.

თუ თამაშის დაწყებისას შიგა გუნდში მხოლოდ 4 მოთამაშეა, მე-5 ლახტი დაირგოლება და დაიდება მცირე წრეში. იგი ლახტის ხაზზე გადააქვთ მე-5 მოთამაშის გამოცხადებისთანავე ან პირველი ლახტის გატაცების შემდეგ.

გარე მოთამაშეებს უფლება აქვთ: 1. მიპარვის, წაწოლის, გაგორების, ხელის კვრისა და სხვა საშუალებებით ხელი დასტაცონ ან ფეხი გაჰკრან და გაიტაცონ ყოველი ლახტი, მათ შორის მცირე წრეში მდებარეც; 2. გატაცებული ლახტები გადასცენ ერთმანეთს, მათი გამოყე-




ნებით გაიტაცონ დანარჩენი ლახტებიც და საჭიროების დროს მიეშველონ ერთიმეორეს; 3. ნებისმიერად დაიჭირონ ხელში გატაცებული ლახტი და წვივებზე ურტყან შიგა მოთამაშეებს; 4. ლახტის წრიდან „გამოათრიონ“ ან დაიჭირონ წრიდან გამოსული ყოველი შიგა მოთამაშე და აქციონ „ტომრად“, დააჯახონ „ტომარა“ წრეში მდგომ სხვა მოთამაშეს და ამგვარად გაიტაცონ ლახტი. შიგა მოთამაშეებს უფლება აქვთ: 1. მუხლს ქვემოთ ტერფის შე-



მიუხვედრელი მხატვარი

ერთი მხატვარი თავის სახელგანთქმულ კოლეგას, ადოლფ გენცელს ეწვია. ზერელედ გადაავლო თვალი მის ნამუშევრებს, მერე სავარძელში ჩაჯდა და წუწუნი დაიწყო:

— ნეტავი შენ, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი! მე კი ბედი არა მაქვს. საშინლად მიძნელდება ჩემი სურათების გაყიდვა.., ვერ გამიგია, რაშია საქმე. დღეში სულ იოლად ვხატავ თითო სურათს და მერე მთელი წელიწადი დავრბივარ, რომ როგორმე მისი გაყიდვა მოვახერხო...

— პირიქით მოიქეცით, გეთაყვა, პირიქით, — მწყრალად მიუგო დიდმა ხელოვანმა თავის სტუმარს, — თითო სურათის დახატვას მთელი წელი მოანდომეთ და დაინახავთ, რომ შემდეგ მას ერთ დღეში გაყიდით!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ხებით „დაჭრან“ გარე მოთამაშენი; 2. ლახტის წრიდან გამოუსვლელად ხელი ჩაავლონ გარე მოთამაშეებს, შეითრიონ წრეში და „დაჭრან“; 3. ხელიდან გამოსტაცონ და დაიბრუნონ გარე მოთამაშეთა მიერ გატაცებული ლახტები და წვივებზე ურტყან მოწინააღმდეგეებს; 4. ერთმანეთს მიეშველონ და ადგილები ცვალონ ყოველი ლახტის დასაცავად.



**შენიშვნები:** 1. მოთამაშე „დაჭრილად“ არ ჩაითვლება, თუ იგი „დაჭრის“ დროს იმდენად იყო გამოსული წრიდან, რომ თუნდაც ერთი ფეხით არ ეხებოდა წრეხაზს; 2. ერთი მოთამაშის „დაჭრა“ ნიშნავს მთელი გუნდის „დაჭრას“, თამაში წყდება და შესვენების შემდეგ წრეში დგება „დაჭრილი“ გუნდი; 3. „ტომარა“ ეკუთვნის გამტაცებელს, რომელსაც „ტომარაზე“ ხელი უკიდია (მკლავში ან ქამარში), სხვისთვის მისი „გატაცება“ აკრძალულია (ხოლო აქეთ-იქით გაუმართლებელი ტარების ან გარე წრიდან გამოყვანის შემთხვევაში მსაჯს შეუძლია მისი „გაშვება“); 4. „ტომარას“, ვიდრე მასზე „პატრონს“ ხელი უკიდია ან ვიდრე იგი ცალი ფეხით მაინც არ შეეხება ლახტის წრეხაზს, უფლება არა აქვს წინააღმდეგობის გაწევის ან თამაშში ჩაბმისა; 5. ლახტის გაწყვეტის შემთხვევაში თამაში ახლდება იმ მდგომარეობიდან, რომელშიც შეწყდა.

### წესების დარღვევა

წესის დარღვევად ითვლება ლახტის მორტყმა მუხლზემოთ, გარე წრიდან გამოსვლა, „დაჭრის“ ცდის დროს მუხლზემოთ ფეხით შეხება, ხელის ჩავლება ტანსაცმელში, ლახტის გადაადგილება ან მასზე ფეხის დადგმა შიგა მოთამაშის მიერ, ზედმეტი ლაპარაკი, მსაჯთან შეკამათება. თუ მცველის ფეხის დადგმით ლახტი აშკარად გადარჩა გატაცებას, იგი გატაცებულად ითვლება.

### თამაშის დრო

თითოეულ შეხვედრაში გუნდმა უნდა ითამაშოს ერთხელ წრეში და ერთხელ — გარეთ. შუალედში ეძლევა 5-წუთიანი შესვენება. გუნდის მდგომარეობა იცვლება „ჩაჭრისთანავე“ ან ლახტის მე-5 გატაცების შემდეგ.

**შენიშვნა:** თუ ორივე შეხვედრის შედეგი ფრეა, ხოლო გამარჯვებულის გამოვლინება აუცილებელია, ინიშნება ორი დამატებითი შეხვედრა 10-წუთიანი შესვენებით. თუ დავა ისევ არ გადაწყდა, განმეორებითი შეხვედრა ინიშნება მეორე დღისთვის.

ლახტის ყოველი გატაცებისათვის გარე გუნდს ეწერება ერთი ქულა, ხოლო ლახტის ყოველი დაკარგვისათვის აკლდება თითო ქულა.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.

გაბრიელ ბარჯაძე





# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
შოთა ინწკირველი

## დიდოსტატი ქეთევან არახამია

19 წლის ქეთევან არახამიამ პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირში (14-31 მაისი, 1987 წელი) და დიდოსტატის ნორმას ერთი ქულით გადააჭარბა, ხოლო 1987 წლის აგვისტოში მოიპოვა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ შვიდი წლის წინათ „მხედრიონმა" დაბეჭდა მაშინ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი 12 წლის ქეთი არახამიას ერთ-ერთი პარტიის დაბოლოება მინაწერით: „ქეთევან არახამიას სახით საქართველოს ეზრდება ნიჭიერი მოჭადრაკე" („პიონერი" № 6, 1980 წელი).

გავეცნოთ XI საერთაშორისო ტურნირიდან ქეთევან არახამიას ერთ ბრწყინვალე პარტიას.

**არახამია-კონოპლიოვა** (მოსკოვი. დიდოსტატი). სკანდინავიური: 1. e4 d5 2. ed ლ:d5 3. მc3 ლa5 4. d4 მf6 5. მf3 კg4 6. h3 კ:f3?! (6. ... კh5 7. g4 კg6 8. მe5 e6 9. h4 კb4 10. ეh3 ან 9... მbd7 10. მc4 ლa6 11. h5 კe4 12. მe4 მe4 13. ლf3 ორივე შემთხვევაში თეთრების უპირატესობით) 7. ლ:f3 c6 8. კd2 ლc7 9. 0—0—0 e6 10. g4! (უპირატესობა განვითარებაში, სივრცეში და ორი კუ აქტიური მოქმედების საფუძველს ქმნის) 10... მbd7 11. g5 მd5 12. მ:d5!? (საყურადღებოა, აგრეთვე, 12. მe4, c4 მუქარით) 12. ...cd 13. მფb1 (გაირკვა თეთრების ჩანაფიქრი: ეc1 და c4) 13... კd6 (ჯობდა 13... a6 და 14... b5) 14. ეc1 მb6 15. კb5 მფe7 (შავებმა არ დაუშვეს c4, მაგრამ მათი მეფე ცენტრში დარჩა, რასაც ქეთევან არახამია ბრწყინვალედ იყენებს) 16. ეhe1 ეac8 (შეცდომა ცუდ პოზიციაში) 17.



g6!! (ერთი შეხედვით გაუგებარია) 17...hg 18. ე:e6!

(ამ შეწირვაში შენივთულია რამდენიმე იდეა: გათრევა, ჩათრევა და, ალბათ, დაცვის მოსპობაც. უცნაურია, დიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში თითქოს ყველაფერი ნათელი და მარტივია, მაგრამ ეტლის შეწირვამ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის შთაბეჭდილება მოახდინა) 18... მფf8 (დასანანია, რომ ბრძოლის გაჭიანურების შესაძლებლობა არის, და რომ პარტია არ დამთავრდა დიაგრამაზე მოცემულ პოზიციაში. 18... fe 19. კg5+ ან 18... მფe6 19. ეe1) 19. ე:g6 ეh4 20. ე:g7! (კიდევ ერთი მოულოდნელობა!) 20... მფ:g7 21. ეg1 მფf8 22. ლf6! ლ:c2 23. მფa1 მc4 24. ლg7 მფe7 25. კg5. კონოპლიოვა დანებდა.

## ოსტატი ქეთევან კახიანი

15 წლის მოჭადრაკემ, დიდლილოელმა ქეთევან კახიანმა პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს ქალთა 43-ე ჩემპიონატში (თბილისი, 5-28 მარტი, 1987 წელი) და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, ხოლო ივნის-ივლისში წარმატებით იასპარეზა ტაპოლკას (უნგრეთი) საერთაშორისო ტურნირში, 7,5 ქულით II-III ადგილები გაინაწილა და საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალის ნორმა შეასრულა.

გავეცნოთ ქეთევან კახიანის მიერ საქართველოს ჩემპიონატში გათამაშებულ მშვენიერ მინიატურას.

**ლაგვილავა** (ქუთაისი. ოსტატი) — **კახიანი** (დიდი ლილო), თბილისი, 1987 წელი. ესპანური: 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კ:c6 dc 5. 0—0 f6 6. d4 კg4 7. de ლ:d1 8. ე:d1 fe 9. ეd3 კd6 10. მbd2 b5 11. c4 (შეიძლება, აგრეთვე, 11. b3 მe7 12. კb2 მg6 და 0—0) 11... მe7 12. c5?! კ:c5 13. მ:e5 კe2! 14. ეb3 (14. ეg3 0—0 15. მdf3 ეad8 16. კh6 მg6) 14... ეd8! (თუ 14... 0—0—0, მაშინ 15. მdf3) 15. მef3 0—0 16. g3? (უკეთესი იყო 16. h3) 15... g5! 17. მ:g5? ე:f2! 18. მe6 ეf1 19. მფg2 ეg1 20. მფh3 ეd6! 21. მf3



# უცნაური თევზები

## ზღვის მელა, ანუ სკაროსი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თევზები თურმე ცხოველთა სამყაროს ერთადერთი წარმომადგენლები ყოფილან, რომელთაც, ჯერ ერთი, შეუძლიათ თავის გარშემო შექმნან ელექტრული ველი, და მეორეც, ორგანიზმში ჰქონიათ სპეციალური მიმღებები — რეცეპტორები, რომელთა საშუალებითაც ამ ველს ძალზე მგრძნობიარედ აღიქვამენ. სწორედ ბიოელექტრული ველებით ამყარებს კონტაქტებს ზოგიერთი თევზი ერთმანეთთან.

ერთ-ერთი ინსტიტუტის ლაბორატორიაში ასეთი ექსპერიმენტი ჩატარდა: ერთ აკვარიუმში მოათავსეს ზღვის მელა, ანუ ქიცვიანი სკაროსი, ხოლო მეორეში — ქამბალა, რომლითაც ზღვის მელა ბუნებრივ პირობებში უთუოდ სიამოვნებით ჩაიტკბარუნებდა პირს. აკვარიუმებს შორის მოათავსეს ყრუ კედელი; თევზებს ერთმანეთის დანახვისა და მოსმენის საშუალება არ ჰქონდათ. აკვარიუმები შეაერთეს გამტარით. როდესაც ქამბალა იწყებდა მოძრაობას და მის გარშემო წარმოიქმნებოდა ელექტროველი, ზღვის მელას ელექ-



ტროკარდიოგრამაზე მისი გული „ძგერას" იწყებდა.

ლილი გელაშვილი,
იქთიოლოგი

კ:f3 22. მ:c6 ე:c1! (დაცვის მოსპობა). ლაგვილავა დანებდა.

## მცირერიცხოვანი, მაგრამ ნიჭიერი თაობა

1945 წლის იანვარში თბილისში მოსწავლეთა საჭადრაკო ჩემპიონატში მონაწილეობდა რვა რჩეული მოჭადრაკე.

თბილისის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ნიჭიერმა ბიჭუნამ, 12 წლის ჰენრიხ არნშტეინმა (6 ქულა). მეორეთანრიგოსანმა ნორჩმა მოჭადრაკემ გაუსწრო ასაკითა და თანრიგით მასზე მაღლა მდგომ მონაწილეებს, მან ერთადერთმა განვლო შეჯიბრი დაუმარცხებლად.

ამჟამად ჰენრიხ არნშტეინი არმიის სპორტული კლუბის მწვრთნელია ჭადრაკში.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ტიგრან პეტროსიანი ხუთნახევარი ქულით მეორე ადგილს დასჯერდა.

მესამე ადგილზე (5 ქულით) გამოვიდა პირველთანრიგოსანი, შემდგომში სპორტის ოსტატი და საჭადრაკო მიმომხილველი ალექსანდრე ბუსლაევი.

მეოთხე ადგილი დაიკავა მეორეთანრიგოსანმა ლული შათაშვილმა (4,5 ქულა), რომელმაც ლამაზი მინიატურა მოუგო ტიგრან პეტროსიანს, რამაც ფაქტიურად განაპირობა ჰენრიხ არნშტეინის ჩემპიონობა.

ლული შათაშვილი ამჟამად ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ზურაბ ჩაჩუა — ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მელორ სტურუა — გაზეთ „იზვესტიის" მიმომხილველი, დავით კელენჯერიძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და გულბათ ტორაძე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი.

ვნახოთ 1950 წლის დასაწყისში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში გათამაშებული ერთ-ერთი პარტიის საინტერესო დაბოლოება. თეთრებით თამაშობს საქართველოს მოსწავლეთა 1949 წლის ჩემპიონი, პირველთანრიგოსანი ჰენრიხ არნშტეინი, შავებით — ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე.

ქარსელაძე



არნშტეინი

16. კ:b5! e5 17. c4! ab 18. მ:b5 ლc6 19. მ:d6 ლ:d6 20. cd მ:d5 21. კc5 ლe6 22. კ:f8 მe3 23. ლd6 ლ:a2 24. ლ:e5!

## იოსებ კრიხელი

აი, ჭაბუკებში საქართველოს 1948 წლის ჩემპიონის, გორელი იოსებ კრიხელის ერთ-ერთი პარტია, რომელიც მან ითამაშა 1949 წელს „პიონერსკაია პრავდას" მიმოწერით ტურნირში. ამჟამად იოსებ კრიხელი დიდოსტატი (საჭადრაკო კომპოზიციაში), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია.

კრიხელი (გორი. პირველთანრიგოსანი) — კაგანი (დნეპროპეტროვსკი — პირველთანრიგოსანი). 1949 წელი. სიცილიური: 1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 g6 6. f4 კg7 7. e5 მg4 8. კb5 მფf8 9. h3 მh6 10. კe3 f5 11. ef კ:f6 12. ლf3 მf5 13. 0—0—0 ლa5 14. ეhe1 h5 15. მb3 ლd8 16. კd4 მd7 17. მd5 კ:d4 18. მ:d4 მ:d4 19. ე:d4. კაგანი დანებდა.

პარტიას გაუკეთეთ კომენტარები და გამოგზავნეთ. მათგან საუკეთესოებს გამოვაქვეყნებთ.

## საინტერესო დაბოლოება ფეხბურთის ოსტატთან

ამოსახსნელად გთავაზობთ პარტიის დაბოლოებას, რომელიც გათამაშდა 1946 წლის იანვრის არდადეგებზე მახარაძის რაიონის მოსწავლეთა პირველ ჩემპიონატში. შავებითაა არჩილ კილაძე — ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის „სიხარულის" კაპიტანი. 1948 წელს 20 წლის არჩილი თბილისის „დინამოში" ჩარიცხეს. 1949 წელს იგი თბილისის „სპარტაკში" თამაშობდა, ხოლო 1950 წლიდან — თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში.

კილაძე



ინწკირველი

შამათი 2 სვლაში.

ველით თქვენს პასუხს.

# უცხოური იუმორი

## საკლასო ოთახში

ინსპექტორი ეკითხება მოსწავლეს:

— აბა მითხარი, ჩემო პატარა მეგობარო, რამდენი იქნება, ხუთს რომ ერთი მივუმატოთ?

მოსწავლე დუმს.

— დავუშვათ, მოგეცი ხუთი კურდღელი, შემდეგ — კიდევ ერთი, რამდენი კურდღელი გეყოლება სულ?

— შვიდი, — მიუგო ბავშვმა.

— შვიდი? როგორ?

— სახლში უკვე მყავს ერთი კურდღელი.

## ზრდილობიანი ქურდი

ერთი კაცი კვირა დღეს ქალაქგარეთ წავიდა სასეირნოდ. პალტო მკლავზე ჰქონდა გადაკიდული. მალე დაღლა იგრძნო და პალტო მესერზე ჩამოკიდა. შემდეგ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და დააწერა: „პალტოს ხელს ნუ ახლებთ, ყვავილით ვარ ავად". თვითონ სეირნობა განაგრძო.

ორი საათის შემდეგ დაბრუნდა, პალტო ადგილზე აღარ დახვდა. მის ბარათზე კი ვიღაცას მიეწერა: „გმადლობთ პალტოსათვის, ყვავილი მოხდილი მაქვს".

## გაკვეთილზე

— ჯეინ, დამისახელე რომელიმე აბსტრაქტული სახელი, — უთხრა მასწავლებელმა გოგონას.

— არ ვიცი, მასწავლებელო!

— არ იცი? მაშ, კარგი. აბსტრაქტული სახელი ეწოდება საგანს, რომელზედაც შეგიძლია იფიქრო, მაგრამ ვერ შეეხები. აბა, ახლა მეტყვი?

— გავარვარებული საცეცხლური, — სწრაფად მიუგო გოგონამ.

## მოწყალება

დიკმა დედას ერთი პენი სთხოვა.

— რაში დახარჯე ის ფული, გუშინ რომ მოგეცი? — ჰკითხა მეორე დღეს დედამ.

— ერთ საწყალ მოხუც ქალს მივეცი.

— ჩემო საყვარელო, აი შენ, კიდევ ფული! მაგრამ ეს მითხარი, რით დაგაინტერესა იმ მოხუცმა ქალმა?

— ის ქალი ტკბილეულს ყიდის.

## საწამლავი და საშრობი

ცნობილი მსახიობი ავად გახდა. წამალი, რომელსაც იგი სვამდა, მოშავო ფერისა იყო. ერთ დღეს მოსამსახურემ შეცდომით მელანი დაალევინა. როდესაც მიხვდა, თუ რა ჩაიდინა, შეშინებულმა მოსამსახურემ ყვირილი მორთო: „მაპატიეთ, სერ, წამლის მაგიერ მელანი დაგალევინეთ!"

— არა უშავს რა, — მიუგო მსახიობმა, — ახლა საშრობ ქაღალდს გადავყლაპავ.

თარგმნა ნაზი მიქელაძემ

# ბავშვები ყველაზე მეტად იჩაგრებიან




მათთვის არავინ არაფერს თხზავს, მათ არ უამბობენ ზღაპრებს, არ უმღერიან ძილისპირულს და არ უწერენ მუსიკას. მათთვის ძალზე იშვიათად ეწყობა მხიარული ზეიმები, სადაც პატარები ცეკვავენ, მღერიან, იღებენ საჩუქრებს, კანფეტებსა და ხილს. ასეთი ზეიმები ეწყობა მხოლოდ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის სახლში, სადაც თავიანთ თანატოლ ავღანელ ბავშვებს ეპატიჟებიან საბჭოთა ბავშვები.

ავღანელი ბავშვები ყველაზე მეტად იჩაგრებიან ქვეყანაში გაჩაღებული გამოუცხადებელი ომისაგან.

სახალხო მთავრობა, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მაინც ბევრს აკეთებს ნორჩებისათვის. მიუხედავად ომისა, აშენებენ სკოლებს თიხისა და ჩალისაგან, არემონტებენ იმათ, რომელიც დუშმანებმა ააფეთქეს. მაგრამ მაინც ბავშვების დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ, სადმე ხის ჩრდილს შეფარებული სწავლობს. მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვები, რომელთა მარჩენალი მამები ომმა შეიწირა, მარაგდებიან პირველი აუცილებლობის საგნებით — ტანსაცმლით, ბრინჯის, ფქვილის, ჩაის, საპნის ტალონებით. ამას ყველაფერს ისინი იღებენ ან სულ უფასოდ, ანდა დაბალ სახელმწიფო ფასებში. ბავშვებს ურიგდებათ აგრეთვე კალმები, ფანქრები, რვეულები, სახელმძღვანელოები.

ბავშვთა სახლი „ვატან“ („სამშობლო“) სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. აქ იზრდებიან ობოლი ბავშვები. მათ უმეტესობას აღარავინ დარჩა ახლობელი. ყველა ომმა შეიწირა.

ამ ბავშვების ხშირი და სასურველი სტუმრები არიან საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა საელჩოს მუშაკები, მასწავლებლები, რომლებიც ავღანურ სკოლებში ასწავლიან, ჩვენი ჯარის ჯარისკაცები და ოფიცრები. ისინი ბავშვებს უმართავენ სათამაშო მოედნებს მარტივი ატრაქციონებით, უწყობენ საბავშვო სახლის ტერიტორიას, მოაქვთ საჩუქრები.

ამასწინათ ქაბულის ერთ-ერთ ბავშვთა სახლში მოხდა ასეთი შემთხვევა: ბავშვები პინგ-პონგს თამაშობდნენ. მაგიდიდან ასხლეტილ პატარა ბურთს დასაჭერად გაეკიდა ბიჭი გულამ ალი. ბურთი კედელთან თხრილში ჩავარდა, მის გვერდით კანაფით შეკრული რაღაც შეკვრა ეგდო. ცნობისმოყვარე ბიჭუნებმა გახსნეს და... აღმოაჩინეს ყუმბარა. იღბლად, მათ ხელი არ მოუხვდათ საფეთქებელზე და უბედურება არ დატრიალებულა. ის არაკაცი, რომელმაც ეს სასიკვდილო იარაღი აქ მოიტანა, ვარაუდობდა, რომ ბავშვები უცხო საგანს კირკიტს დაუწყებდნენ და... აფეთქებას ემსხვერპლებოდა რამდენიმე უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლე.

ბავშვთა ჰოსპიტალი ქაბულის ცენტრში სავსეა ხეიბარი ბავშვებით.

მტერი ძალასა და გამომგონებლობას არ იშურებს მათთვის მომაკვდინებელი იარაღის მოსაფიქრებლად.




მასწავლებლის სამახსოვროდ

პირველყოფილ ადამიანებს — ნეანდერტალელებს სახელი დიუსელდორფის მახლობლად მდებარე ნეანდერტალის ხეობის მიხედვით დაერქვა. სწორედ ამ ადგილებში აღმოაჩინეს ადამიანის წინაპართა ძვლები ქვიშის საბადოს მუშებმა.

საიდან გაჩნდა ხეობის ეს უჩვეულო სახელი?

200 წლის წინათ დიუსელდორფის ბერძნულ-ლათინური სკოლის რექტორი ყოფილა სიბრძნით განთქმული და ძველი ენების ბრწყინვალე მცოდნე ვინმე ი. ნოიმანი. თავისი წმინდა წყლის გერმანული გვარი მან ძველბერძნულ ყაიდაზე — ნეანდერად გადაიკეთა.

მასწავლებლის პატივსაცემად მის საყვარელ სასეირნო ადგილს — მდინარე დიუსელის ხეობას ხალხმა ნეანდერტალი — ნეანდერის ხეობა დაარქვა.

### მალე დადგება დრო

ინგლისელი ლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ინგლისური ენა აშშ-ში მნიშვნელოვნად შეიცვალა. მალე ალბათ ის დროც დადგება, როცა ამერიკელები ინგლისურ გაზეთებს ულექსიკონოდ ველარ წაიკითხავენ.

### მთვარე — ამწე

რობერტ სტეფენსონი, ორთქლმავლის ცნობილი გამომგონებლის ვაჟი, თავადაც ნიჭიერი ინჟინერი იყო. ინგლისის რკინიგზებზე დღესაც შეხვდებით მის მიერ დაპროექტებულ ხიდებს. ერთ-ერთი ხიდი ნახევარკილომეტრიან სრუტეზე გადებულ გი-



## საინტერესო სიახლენი

### ყველაზე დიდი ტელესკოპი

ჰავაის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე დადგეს ტელესკოპი, რომლის სარკის დიამეტრიც 10 მეტრია. იგი საშუალებას იძლევა დავინახოთ ჩვენგან 12 მილიარდი (!) სინათლის წლის მანძილით დაშორებული ციური სხეულები. ტელესკოპის სიმძლავრე იმდენად დიდია, რომ მისი დახმარებით მთვარის ზედაპირზე



ანთებული სანთლის დანახვაც კი შეიძლება. ტელესკოპი ზღვის დონიდან 4 000 მ სიმაღლის მთის მწვერვალზეა მოთავსებული.

### ოპტიკური ფირფიტა

120 მმ დიამეტრის ოპტიკურ ფირფიტაზე ამერიკელმა მეცნიერებმა ლაზერის სხივის დახმარებით ჩაწერეს იმდენივე ინფორმაცია, რამდენიც შეიძლება ჩვეულებრივი წესით 160 კგ ქაღალდზე დაიბეჭდოს.

### ვიდეოდესერტი...

ასეთი „კერძი“ შემოიღო ბევრმა იაპონურმა ფირმამ, რომელთაც სურთ, რომ თანამშრომელთა ტვინი შესვენების დროსაც მუშაობდეს. სალონში დადგმული სამი კინოეკრანი და ექვსი მონიტორი ერთდროულად უჩვენებს თემატურ ფილმებს, სლაიდებს, ტექსტებსა და ნახაზებს. ყოველ თანამშრომელს შეუძლია სადილის შემდეგ თავისი გემოვნების მიხედვით შეარჩიოს „ვიდეოდესერტი“.

### ენერგიული გიგანტი

უკვე ამუშავდა ირაიპის (სამხრეთი ამერიკა) ჰიდროელექტროსადგურის პირველი ტურბინები. 1990 წელს, როცა სადგური სრულ სიმძლავრეს მიაღწევს, იგი წელიწადში 12 000 მვტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ელექტროსადგური იქნება.



### კარდიოლოგი გვაფრთხილებს

იმ ადამიანების ორგანიზმი, რომელთაც გულ-სისხლძარღვთა სისტემა აქვთ დაავადებული, ძალზე მგრძნობიარეა მოულოდნელი გაღვიძების მიმართ. სისხლის წნევა, ჩვეულებრივ, ღამის განმავლობაში ქვევით იწევს, გაღვიძებისას კი სწრაფად ადის ხოლმე ზევით. ამერიკელმა კარდიოლოგმა თ. რობერტსონმა დაასკვნა, რომ მკვეთრი სინათლით გაღიზიანებული ნუშისებრი ჯირკვლები სისხლს დიდი რაოდენობით აწვდიან ჰორმონებს, რომლებიც სისხლის ბურთულების შეწებებას იწვევენ. ეს კი საბოლოოდ შეიძლება ინსულტის მიზეზი გახდეს.

### ჰელიოგემი

ლამანშის სრუტის თავზე უკვე კარგა ხანია დაფრინავენ ჰელიოთვითმფრინავები, საფრანგეთისა და შვეიცარიის გზებსა და ქუჩებზე დასრიალებენ უხმაურო ჰელიოავტომობილები. ახლახან კი წყნარი ოკეანის წყლებში შეცურდა „მზის გემი“. იგი იაპონურმა ფირმამ „მაცუსიტამ“ ააგო. თითქმის მთელი მისი გემბანი დაფარულია ფოტოპანელებით, რომლებიც მზის სითბოს ელექტროენერგიად გარდაქმნიან. მართალია, ჰელიოხომალდის სიჩქარე არცთუ ისე დიდია, მაგრამ, სამაგიეროდ, ეკონომიურია და გარემოსაც არ აბინძურებს.

განტურ მილს წარმოადგენს. სწორედ ამ წყალზედა გვირაბში მიმოდიან მატარებლები.

გასულ საუკუნეში ამწე არ არსებობდა. მაშ როგორ მოხერხდა 1000 ტონიანი ტვირთის საყრდენებზე მოთავსება?

თურმე, მილი თავის ადგილზე დადო... მთვარემ, უფრო სწორად, მის მიერ გამოწვეულმა ზღვის მოქცევამ. ხიდის ერთად შეკრულ სექციებზე დაამაგრეს პონტონები. მოქცევის დროს მომატებულმა წყლის დონემ მილი თავისებურ ტივად აქცია, რომელიც სტეფენსონის თანაშემწეებმა საჭირო ადგილას მიაცურეს. როცა წყლის დონემ დაიწია, მილი ზუსტად დაეშვა საყრდენებზე. შემდეგ ხიდი პონტონებისაგან გაათავისუფლეს და საიმედოდ დაამაგრეს.

### ახალი რადიოგალაქტიკა

100 მ დიამეტრის მქონე ტელესკოპის დახმარებით დასავლეთგერმანელმა ასტრონომებმა ირმის ნახტომის მიღმა აღმოაჩინეს ელიფსური მოხაზულობის ახალი რადიოგალაქტიკა. ამ რადიოგალაქტიკის ბირთვი შედარებით მომცროა, მაგრამ მის მიერ გამოსხივებული ენერგია ათმილიარდჯერ აღემატება მზის მიერ გამოსხივებულ ენერგიას.

### დღესასწაული თეორეტიკოსმა ჩაამწარა

1896 წელს პარიზის საავტომობილო გამოფენის დახურვასთან დაკავშირებულ სადღესასწაულო ბანკეტზე პირველი სიტყვა ცნობილმა ფიზიკოსმა მარსელ დეპრემ წარმოთქვა. მან ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა ტრანსპორტის ახალ სახეობას, რომლის სიჩქარეც, მისი ვარაუდით, სულ მალე საათში 60 კილომეტრამდე გაიზრდებოდა.

მეორე დღეს გაზეთებში საინტერესო ცნობა გამოქვეყნდა: ბანკეტზე მყოფმა ფრანგული მსუბუქი მანქანების პირველმა კონსტრუქტორმა უკმაყოფილოდ განაცხადა, როუ დღესასწაული ამ თეორეტიკოსის უაზრო განცხადებამ ჩაამწარა. თვით კონსტრუქტორის აზრით, შიგაწვის ძრავიანი ტრანსპორტი ვერასოდეს ვერ განავითარებდა საათში 45 კმ სიჩქარეზე მეტს.






● თუ შენს ფოტოალბომს სურათების ჩასამაგრებელი ჭრილები არა აქვს, შეგიძლია ფერადი ქაღალდების ზოლით გახვიდე ფონს. 1 სმ სიგანის ზოლი 2-3 სმ სიგრძეზე დაჭერი და ისე გაკეცე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. თავად მიხვდები, რომ ცოტაოდენი წებოც დაგჭირდება.



● ახალი პოლიეთილენის პაკეტის გახსნა ზოგჯერ ძნელდება ხოლმე. ამ პრობლემის გადაჭრის კარგი საშუალებაა ჩვეულებრივი სარეცხის სამაგრი, რომელსაც ბოლოებზე ლეიკოპლასტირი აქვს გადაკრული (წებოვანი მხარე ზემოთ უნდა იყოს). საკმარისია „უჩქმიტო" პაკეტს და იგი მაშინვე გაიხსნება.



● ბუზი ყოველთვის მომაბეზრებელია, განსაკუთრებით — სამზარეულოში. ლიტრიან ქილაში ამყავებული ხორცის ან თევზის ბულიონი ჩაასხი და შიგ ქაღალდის ძაბრი ჩადგი. ბუზები ბულიონს მიეტანებიან და სამზარეულოში მათი რიცხვი მკვეთრად შემცირდება.



● თუ გინდა, რომ ცოცხი დიდხანს ემსახუროს დიასახლისს, მის კონუსურ ნაწილს ნახმარი ელასტიკური მილისებრი ბანდი ჩამოაცვი. ცოცხი უფრო მოქნილი გახდება და გვერდითა ტოტებიც ნაკლებად დაემტვრევა.



● ჩაის, სოკოს ან სხვა რომელიმე ნაყენის გასაფილტრავად დიასახლისები ქილას ყელზე ნაჭერს შემოაკრავენ ხოლმე. ნაყენის გადმოსხმისას ძალზე ძნელია, მისი ნაწილი არ დაიღვაროს. ამის თავიდან აცილება შეიძლება, თუ ქილას პოლიეთილენის ხუფისაგან გამოჭრილ რგოლს ჩამოაცვამ. მაშინ მარლა არ დასველდება და სითხის ნაკადიც თანაბარი იქნება.





# საძიებელი

ი. ჭავჭავაძე — გაზაფხული (ლექსი) . . გარეკ. 2
გრ. აბაშიძე — ილია ჭავჭავაძე (წერილი) . . . . 1
თ. ცაგარელი — ორნი საქართველოს დელეგაციიდან (ნარკვევი) . . . . . . 4
ხ. ბერულავა — უბილეთო მგზავრი (მოთხრობა) . . 6
ე. ბართაია — შემოდგომა (ლექსი) . . . . 6
დ. გოზალიშვილი — ილიას სადიდებლად (წერილი) . . 9
ზ. ტაბალუა — კურდღლები და რაინდები (მოთხრობა) . 11
სამშობლოს ნორჩი გმირები. ზინა პორტნოვა (წერილი) . 16
ნორჩ შემოქმედთა კონკურსი . . . . 17
აისი . . . . . 18
კ. კურბატოვი — გენერალი (მოთხრობა) . . . 19
ა. ბეთანელი — მთავარი კონსტრუქტორი (წერილი) . . 22
გ. გაბუნია — დაუვიწყარი დღეები (წერილი) . . . 24
გ. ბარჯაძე — ლახტი (წერილი) . . . . . 26
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი . . . . 26
მხედრიონი . . . . . 28
ლ. გელაშვილი — უცნაური თევზები (წერილი) . . 28
უცხოური იუმორი . . . . . 29
შენი უცხოელი თანატოლები (წერილი) . . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . 30
საინტერესო სიახლენი . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. . 3
თ. ჯალაღანია — ფრანსისკო დე გოია (წერილი) . გარეკ. 4

---

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ზურაბ მეძმარიაშვილისა

---

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

---

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-61, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 26.08.87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.10.87 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი. 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 2025. ტირაჟი 161.000, ეგზ., უე 11112.

---

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

---

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

---

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 161.000 экз. Цена 20 коп.

---

© „პიონერი", 1987 წ.

## კროსვორდი



თარაზულად: 1. ექიმის მიერ დანიშნული სამკურნალო ღონისძიება; 3. ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც აერთიანებს საერთო საქმიანობა, საერთო მიზნები; 5. ნივთების ან ფულის გათამაშება ბილეთებით; 6. იტალიის ქალაქი; 8. ბალახოვანი დეკორაციული მცენარე, აქვს იისფერი, წითელი ან თეთრი უსუნო ყვავილი; 9. ქიმიური ელემენტი; 11. მკვრივი, წყალშეუღწევი მინერალური მასა, დამზადებული საუკეთესო ხარისხის თეთრი თიხისა და საგანგებო მინარევებისაგან; 13. ქართული ხალხური ეპოსის გმირი; 14. ცაგერის რაიონის სოფელი; 15. ტეხასის შტატის (აშშ) ქალაქი; 18. ქარელის რაიონის სოფელი; 22. ნავის, ხომალდის ანძაზე მიმაგრებული მკვრივი ტილო; 25. ოცი კაპიკი; 26. საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; 28. ხელსაწყო, რომელიც რაიმე გარკვეულ მუშაობას ასრულებს; 29. საზაფხულო დასასვენებელი ადგილი; 30. საუკეთესო ხარისხის შავი ფერის ქვანახშირი; 31. ვისიმე საქმიანი და პოლიტიკური კვალიფიკაციის განსაზღვრა.

შვეულად: 1. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა, რომლის პერსონაჟები აზრებსა და გრძნობებს ჟესტებით, მიმიკით გადმოსცემენ; 2. საქართველოს მდინარე; 3. ჩანთოსანი ძუძუმწოვარი ცხოველი; 4. ნივთიერება, რომელიც არ ატარებს ელექტრობას; 5. დიდი საზღვაო ან საოკეანო გემი; 7. ყურძნის ჯიში; 8. მთავარი არტერია; 10. თბილისის უბანი; 11. „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი; 12. კავკასიონის მწვერვალი; 15. მაღალი მარადმწვანე წიწვოვანი მცენარე, ხარობს სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში; 16. ამერიკის შეერთებული შტატების შტატი; 17. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 19. სარტყლის შესაკრავი ან სამკაული, რომელსაც საჩხვლეტი არა აქვს; 20. ჭიათურის რაიონის სოფელი; 21. მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა; 23. ორგანული ნივთიერება ამინომჟავების ჯგუფიდან; 24. მკურნალობა ჰაერის, ზღვის, მზის ზემოქმედებით;

დიაგონალურად: 1. მარადმწვანე ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; 10. თვალის ფერადი გარსის ანთება; 11. რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც მოთავსებულია სხვაგან და აქვს ერთგვარი დამოუკიდებლობა; 22. სამართლის დარგის სპეციალისტი; 27. არაბთა ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოში არაბობის დროს. 30. ქარელის რაიონის სოფელი.

შეადგინა ალ. გორგიშვილმა

## გამოცანები

ამ კლავიშებს კენკავს თითი—
არ გეგონოთ ქათამი,
არც მუსიკა,
არც სიმღერა, —
ისმის მხოლოდ კაკანი.

ხან ჩუმად არის,
ხან ფიცხობს,
ხან სუნთქავს მძიმე-მძიმედ,
ვრცელია,
ტბაზე დიდია,
ოკეანეზე — მცირე.

გ. შეთეკაური

გაქცევა არის იმისი
სანდო ფარი და ხმალი,
ჩემპიონია ხტომაში,
არის ქარივით მალი,
ჩანთას ატარებს, წიგნი კი
არ დაუნახავს თვალით.

ხალხის შესამოსად
თავის სამოსს იხდის,
ცხოველია მშვიდი,
რომელია, მიხვდი?

გ. მარცვალაშვილი

მუშაობისას მღერის,
თუ დგას,
არა სძრავს კრინტს,
პირიდან რასაც შეჭამს,
მუცლით უკანვე ჰყრის.

ორი რგოლი,
ორი წვეტი,
შუაში კი — ლურსმანია,
სხვა რა გითხრათ
ამის მეტი —
ყველა თქვენგანს უხმარია.

ნ. მარიხია



## ენასატეხი

ქვემო ქაქუთში ქოროღლის ქუჩაზე ქვრივ ქალს ქეთო ქუთათურს ქოთანში ქათმის ქარვისფერი ქონი ჰქონია.

შავშეთშია შავი შაშვი, შაშვის შაშხი შიგ შანშეს.

ნ. ივანიძე

### პასუხი № 9-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

#### თავსატეხი

| | | |
|---|---|---|
| 8 | 1 | 6 |
| 3 | 5 | 7 |
| 4 | 9 | 2 |

#### კროსვორდი

თარაზულად: 5. ბურღული; 6. ფინჯანი; 9. ისარი; 10. შტურმი; 11. ამქარი; 14. სკრა; 16. სარიანი; 17. მითი; 18. სულაქველიძე; 21. ბახი; 22. კურიოზი; 24. აირი; 27. უგანდა; 28. ბანაკი; 29. ლიტრი; 31. იარლიყი; 32. გრიგალი.

შვეულად: 1. ალუმი; 2. ელჩი; 3. სიმი; 4. უჯარმა; 5. ბარტოკი; 7. იმერეთი; 8. ჩანგი; 12. მანაგუა; 13. ანალიზი; 15. აფსკი; 17. მღეთა; 19. ფარგალი; 20. დრაკონი; 23. იახტა; 25. იდეალი; 26. მარაგი; 29. ლოყა; 30. იორი.

#### მეტაგრამები

ბრემი. ირემი. ურემი;
რული. გული;
ტარი. ხარი;

#### გამოცანები

ლომი. ოზოგა.
ჟიანჟველა. სეტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი საგამოფენო დარბაზი



# ფრანსისკო დე გოია „ქოლგა“

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მხატვარი, XVIII-XIX საუკუნეების ესპანელი ფერმწერი ფრანსისკო დე გოია ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რთულ, დაძაბულ დროში. ასეთივე რთული და მრავალსახოვანი იყო გოიას ხელოვნებაც. იგი ხატავდა ღრმად ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, ესპანელი ხალხის შრომისა და დასვენების სცენებს, მწვავე სატირულ გრაფიკულ სერიებს ცხოვრების მანკიერ მხარეებზე, ომის საშინელებათა და ხალხის გმირობის ამსახველ დრამატულ სურათებს. ყოველივე ამას გოია ასრულებდა შეუდარებელი ოსტატობით, გასაოცარი ფერწერული ვირტუოზულობითა და ღრმა გრძნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ზებუნებრივმა ნიჭმა გოიას საყოველთაო აღიარება, სიმდიდრე, სახელი და დიდება მოუტანა, მისი ცხოვრება მძიმე იყო. გენიალური მხატვრის დაუცხრომელი, თავისუფლებისმოყვარე სული და შემოქმედება ესპანეთის დაუნდობელი სასულიერო სამსჯავროს — ინკვიზიციის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. მხოლოდ სამეფო კარის პირველი მხატვრის ოფიციალური წოდება იცავდა გოიას. და მაინც, სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იძულებული გახდა სამუდამოდ გადახვეწილიყო სამშობლოდან და საფრანგეთში დასახლებულიყო. გოიას ბევრი სხვა განსაცდელიც ხვდა წილად — ახლობლებისა და მეგობრების უდროო გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა, სმენის სრული დაკარგვა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სიცოცხლის მეორე ნახევარში მისი ხელოვნება განსაკუთრებულად დრამატულია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ფრანსისკო გოიას მხატვრულ მემკვიდრეობაში ფართო ადგილი უჭირავს მჟღერ, ხალისიან, სიცოცხლისა და სილამაზის სიყვარულით შთაგონებულ სურათებს. მხიარულება იღვრება სანტა ბარბარას გობელენების სამეფო მანუფაქტურისათვის შექმნილი მისი სურათების სერიიდან. ამ სურათებში გოიამ განსაკუთრებული სიყვარულით გამოსახა წმინდა ესპანური ტიპები, მადრიდის დამახასიათებელ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი პერსონაჟები.

გოია სამეფო კარის მხატვარი იყო, მაგრამ სულითა და ხორცით მშობელ ხალხს ეკუთვნოდა. ამიტომ თავის მრავალ ქმნილებაში ასახა ხალხი.

სურათი „ქოლგაც“ გობელენების მანუფაქტურისათვის იყო განკუთვნილი. მისი სიუჟეტი უბრალო და უპრეტენზიოა. გოგონა ბაღის კედელთან, მწვანე მდელოზე ჩამომჯდარა დასასვენებლად, კალთაში კი პატარა ფინია უზის. უკან მდგომი ყმაწვილი დიდი მწვანე ქოლგით მზეს უჩრდილავს გოგონას. მისი ტანსაცმელი გვიჩვენებს, რომ ის მადრიდის მკვიდრია, ანუ, როგორც მათ ეძახდნენ, „მახაა“. პერსონაჟების ხაზგასმულად ელეგანტური და გრაციოზული პოზები ოდნავ შელამაზებულ იერს ანიჭებს მათ, მაგრამ ასეთი გადაწყვეტა ეთანხმება სურათის საერთო მხიარულ განწყობას. ამასვე უსვამს ხაზს მჟღერი, ნათელი ფერადოვნებაც. ეს მწვანე, ყვითელი, წითელი, ცისფერი, თეთრი და შავი ფერები ისეთი ელვარე და ინტენსიურია, გეგონებათ, სითბოსა და სინათლეს ასხივებენო. ამავე დროს, ისინი ისე ოსტატურადაა შეხამებული, რომ სრულებით არ იქმნება თვალისმომჭრელი სიჭრელის შთაბეჭდილება.

რადგან სურათი გობელენის შესაქმნელად იყო გამიზნული, გოია ცდილობდა, ფერები სუფთა, შეუზავებელი ლაქების სახით განელაგებინა, ფიგურები მკაფიო, ერთიანი კონტურით შემოესაზღვრა, ფორმებისათვის სიმკვიდრე და სიგლუვე მიენიჭებინა. და მაინც, სურათი უაღრესად ცხოველხატულია, აღსავსეა ფუნჯის მთრთოლვარე მოძრაობით, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებს ამ კომპოზიციას.

ფრანსისკო გოიას „ქოლგა“, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, კაცობრიობის კულტურის საგანძურის კუთვნილებაა.

თეო ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე